პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

შაბათი,
28
ივლისი
1936 წ.
№ 173 (4682)

ფასი 10 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

— მაღალი იდეურობა, დისციპლინა, სიფხიზლე (მეთაური).
— ს. ს. რ. კავშირის ცაკში და სახკომსაბჭოში.
— საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სპეკულიაციასთან ბრძოლის შესახებ.
— აპ. ნუცუბიძე—უკანასკნელი მოვლენები მსოფლიო აგრარულ კრიზისში (ფელეტონი).
— ნ. კერძენჯია—საავადმყოფოთა შეჯიბრება (ფელეტონი).

უცხოეთში:

— გერმანიის გეგმები ჩეხოსლოვაკიის მიმართ.
— სამი სახელმწიფოს ლონდონის თათბირის შემდეგ.
— სამხედრო-ფაშისტური ამბოხება ესპანეთში.
— მთავრობის ჯარების დიდი გამარჯვება.
— იაპონია-მანჯურიის ხელისუფალთა საეჭვო მახინაციები საბჭოთა საზღვარზე.

მაღალი იდეურობა, დისციპლინა, სიფხიზლე!

Საბჭოთა კავშირის მშრომელნი სტალინური კონსტიტუციის პროექტს უდიდესი სიხარულით შეხვდნენ. ამ პროექტით აღფრთოვანებულია ყველა მშრომელი. მას ყველგან იწონებენ, როგორც ნამდვილად დემოკრატიულ კონსტიტუციას მსოფლიოში, რომელიც ახალ ბრწყინვალე პერსპექტივებს გვიშლის სოციალიზმის შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც ახალ ძალასა და მხნეობას ჰმატებს თვითეულ მშრომელს ახალი მძლავრი შემოქმედებისათვის.

ხალხთა მასებმა ღრმად შეიგნეს კონსტიტუციით მინიჭებული დიადი უფლება-მოვალეობანი იმისა, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, მატერიალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობაში, ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში; რომ ქალს ენიჭება მამაკაცთან თანასწორი უფლება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში, რომ ყველა მოქალაქე განურჩევლად ეროვნებისა და რასისა, თანასწორუფლებიანი არის და რომ ყველასთვის უზრუნველყოფილია პიროვნების ხელშეუხებლობა, რაც არნახული და შეუძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებაში.

პარტიულ მასას, განსაკუთრებით კი პარტიულ აქტივს, ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება თვითეულ ბოლშევიკს, რომ ახალი კონსტიტუციის განხორციელება არა თუ არ ამცირებს, არამედ ბევრად აძლიერებს პარტიის როლს სახელმწიფო მშენებლობაში, ადიდებს თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული ბოლშევიკის პასუხისმგებლობას კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

და ახლა, როდესაც საბჭოთა სამშობლო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენათა წინაშე დგას,—კიდევ უფრო მკვეთრად ისმება საკითხი თვითეული მოქალაქის, უპირველეს ყოვლისა თვითეული ბოლშევიკის მაღალი იდეურობისა, პრინციპულობისა და დარაზმულობისა, რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისა.

ახალი კონსტიტუციის პროექტში ჩვენ სიამაყით ვკითხულობთ, რომ „სსრ კავშირის თვითეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია, შეასრულოს კანონები, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივი სცეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს“. ჩვენი წმინდა მოვალეობა: მუდამ მტკიცედ, მუდამ ერთგულად და შეგნებულად, არა შიშით, არამედ სინდისით და უდიდესი სიყვარულით განვახორციელოთ ეს აუცილებელი მოთხოვნა.

კაპიტალიზმისათვის არ არსებობს სხვა რაიმე უმნიშვნელოვანესი ამოცანა, გარდა ექსპლოატატორთა ჯიბის გასქელებისა. ეს არის მისი პირველი მცნება.

მემამულეები და კაპიტალისტები, თავადაზნაურობა და ვაჭრები. სამღვდელოება და ბიუროკრატია,—აი წარსული საზოგადოების ის სოციალური ფენები, რომელთაც დაამახინჯეს და ამახინჯებენ მრავალ მილიონ ადამიანებს, უვიცობის ხუნდებს ადებენ მათ გონებას, ადამიანისადმი შურის შხამს ანთხევენ, მილიონიან მასას კატორღული შრომის პირობებში ამყოფებენ და ბედისადმი მონური მორჩილების სახარებას უკითხავენ. ეს სინამდვილე ყველაზე მკვეთრად ბარბაროსულ ფაშისტურ ქვეყნებში მოსჩანს, სადაც საშუალო საუკუნეთა ნაჯახი სახელმწიფოებრივ სიმბოლოდ არის გადაქცეული.

გამარჯვებულმა სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში მოსპო სიღატაკე. ცხოვრება გაუმჯობესდა, ცხოვრება უფრო სამური გახდა. შრომა მძიმე ტვირთიდან, როგორიც ის წინათ იყო, გადაიქცა ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ. მეცნიერული სოციალიზმის იდეა, ღრმად შეიჭრა მასებში; ამ იდეას ამწიფებდნენ და ზრდიდნენ კომუნიზმის საუკეთესო წარმომადგენლები—მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი, იგი უკვე მატერიალურ ძალად იქცა, მრავალმილიონიან ხალხთა მასებს უმშვენიერესი პერსპექტივები გადაუშალა.

გრანდიოზულია ჩვენი მიღწევები მუშაობის ყველა სფეროში. სტახანოვური მოძრაობა მძლავრ ნაკადად მოედო სოციალისტურ მშენებელთა მილიონებს ქალაქად და სოფლად. უდიდესი ძვრები მოხდა საკოლმეურნეო სოფლებში, ადამიანთა შეგნებაში, მათ დამოკიდებულებაში შრომასთან და სოციალისტურ საკუთრებასთან. ყველა ამ ცვლილებების საფუძველზე, პარტიული დოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის ჩატარების შედეგად, გაიზარდა და იზრდება პარტიული კადრები, მაღლდება მათი იდეურ-პოლიტიკური დონე, მათი საწარმოო კვალიფიკაცია. იზრდება პარტიული ორგანიზაციების დარაზმულობა, პასუხისმგებლობა, დისციპლინა, ბრძოლის უნარიანობა და რევოლუციური სიფხიზლე.

ეს ყველაფერი ფაქტია. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენში ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. განა ახლა არ მოიპოვებიან საბჭოთა, სამეურნეო და სხვა დარგის მუშაკები, მათ შორის კომუნისტებიც, რომელნიც არაკეთილსინდისიერად და არაპატიოსნად ეპყრობიან თავიანთ საქმეს, რომელნიც ლაყბობენ, მედიდურობენ, უსულგულოდ და ბიუროკრატულად მუშაობენ, რომელნიც თავიანთ სამუშაოს უყურებენ, როგორც სამწუხარო აუცილებლობას? განა ფაქტი არ არის, რომ პარტდოკუმენტთა გამოცვლამ აქა-იქ კიდევ გამოავლინა თვალთმაქცები, დისციპლინის დამრღვევნი, ორპირნი, პასიურები, შენიღბული მტრები და ისეთი „კომუნისტები“, რომელნიც უდარდელობისა და თვითდამშვიდების მორევში ცურავენ?

რომელ იდეურობაზე, პრინციპულობაზე და კეთილსინდისიერებაზე შეიძლება ველაპარაკოთ ასეთ „საზოგადო მოღვაწეებს“, რომელთაც სძაგთ თვითკრიტიკა, არა აქვთ ცოცხალი ადამიანისადმი მზრუნველი მოპყრობის უნარი, იმის სურვილი, რომ დაფიქრდეს და გაიგოს ამათუიმ საქმის ან სამუშაოს აზრი და მნიშვნელობა, ახალი მოვლენებისა და ამოცანების შინაარსი!

გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც უახლოეს ხანში განიხილავს საბჭოების საკავშირო ყრილობა, ჩვენს წინაშე მკვეთრად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ აუცილებელია გავაუმჯობესოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მშრომელთა ყველა ფენაში, განვამტკიცოთ პარტიული ორგანიზაციებისა და თვითეული ბოლშევიკის კავშირი მშრომელთა მასებთან, გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა მათზე, რათა თვითეულ მოქალაქეში, თვითეულ საბჭოთა-სამეურნეო მუშაკში და თვითეულ კომუნისტში განუწყვეტლივ ვნერგავდეთ მაღალ იდეურობას, პრინციპულობას, კეთილსინდისიერებას, კონკრეტულ-ოპერატიული მუშაობის ჩვევებს, შემტევ ბოლშევიკურ სიფხიზლეს.

აქამდის ფილოსოფოსები მხოლოდ სამყაროს ახსნას ცდილობდნენ, საჭირო კია ამ სამყაროს გარდაქმნაო,—სწერდა მარქსი, სამყაროსა და ადამიანთა გარდაქმნის ეს ისტორიული პროცესი დიდი ხანია დაიწყო და ძლევამოსილად მიიმართება წინ ჩვენს ქვეყანაში ამ იდეის სულისჩამდგმელისა და განხორციელების ორგანიზატორის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. ჩვენი სამშობლო, ჩვენი მთავრობა, ლენინ-სტალინის პარტია მოითხოვს ყოველი საბჭოთა მოქალაქისაგან, რომ ის იყოს ღირსეული შვილი თავისი ქვეყნისა, იყოს თავდადებული, ერთგული, გულწრფელი და იდეური მუშაობაში, იყოს მოწინავე მოქალაქე, რომელიც არ იყინება ერთ წერტილზე და განუწყვეტლივ მიისწრაფვის წინ—ახალი მიღწევებისაკენ.

ჩაის კრეფა ფაბრიკების მიხედვით

(„საქართველოს ჩაის“ ცნობები 20 ივლისისათვის)

ჩაის ფაბრიკების სახელწოდება	ივლისში მოკრეფილი ფოთოლი, კილოგრ.	3 თვის გეგმის (მაისი, ივნ., ივლ.) შესრულება პროც.
სალიბაურის	93.522	58,2
ჩაქვის	203.570	54,8
ბობოყვათის	68.715	48
ხუცუბანის	40.874	47,2
ქობულეთის	111.074	54,3
ნატანების	46.832	43,5
შრომის	42.364	53,1
ლაითურის	143.725	57,9
მახარაძის	162.125	52,9
მაღალი ეწერის	71.039	51,2
ნასაკირალის	83.974	66,2
აცანის	74.765	60,5
ნიგვზიანის	59.540	71
სუფსის	37.322	54,1
მამათის	64.979	58,5
ჩოხატაურის	52.319	56,9
წულუკიძის	35.285	82,3
უშაფათის	38.109	66
დიდი-ჭყონის პირველი ფაბრიკა	41.141	53,8
დიდი-ჭყონის მეორე ფაბრიკა	48.796	57,9
ზუგდიდის	125.987	50,1
ნარაზენის	97.681	73,2
წალენჯიხის	48.000	48,8
ჩხოროწყუს	35.806	55,8
გალის	27.252	45,9
აჩიგვარის	47.113	53
ნაბაკევის	38.192	62,8
მოქვის (ოჩემჩირის)	57.019	73
ახალ-ხიბულის	8.123	53,7
ორპირის	18.034	71,7
ჩაის საგამომცდელო საკავშირო ინსტიტუტის	8.000	57,5

წლიური გეგმის მიხედვით ჩამოთვლილმა ფაბრიკებმა სულ უნდა დაამზადონ 19.260.300 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სამი თვის განმავლობაში—მაისში, ივნისში და ივლისში უნდა დამზადდეს 13.293.700 კილოგრამი, ხოლო მარტო ივლისში (წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით)—7.445.594 კილოგრამი. 20 ივლისისათვის კი დამზადებული იყო 7.895.605 კილოგრამი ანუ გეგმის 59,4 პროცენტი. ივლისის გეგმა კი წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით, შესრულებულია 27,3 პროცენტით.

1935 წლის მაისში ამხ. ი. ბ. სტალინმა, ვ. მ. მოლოტოვმა, კ. ე. ვოროშილოვმა, ლ. მ. კაგანოვიჩმა, გ. კ. ორჯონიკიძემ და ვ. ი. ჩუბარმა დაათვალიერეს მოსკოვის აეროდრომი. **სურათზე: ამხ. სტალინი და ორჯონიკიძე ესაუბრებიან მფრინავ ჩკალოვს.**

უდის კუნძულზე

ხაბაროვსკისაკენ სტარტის წინ

ამურის-ნიკოლაევსკი, 24 ივლისი. 14 საათი და 50 წუთი. („კრასნაია ზვეზდას“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). შემდგომ გასაფრენად თვითმფრინავის მომზადებაში გმირულ ეკიპაჟს დიდ დახმარებას უწევს სანაპირო დაცვის გემის პირადი შემადგენლობა. ძერჟინსკის პუნქტმა ამ მიზნისათვის გამოჰყო ახალგაზრდა სპეციალისტთა ბრიგადა ამხ. ევსტიგნეევის, პერევალკინის, ოსტაპოვის, ივანოვის, და დუშინის შემადგენლობით. მათ ხელმძღვანელობას უწევს გემის მექანიკოსი კომკავშირელი უდალოვი.

17 საათსა და 30 წუთზე ხაბაროვსკის დროით „ანტ—25“-ის ეკიპაჟმა დაათვალიერა, თუ როგორ მიმდინარეობს იმ აფრენის მოედნის მომზადება რომელიც თვითმფრინავის დაშვების ადგილიდან ერთი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს.

თვითმფრინავის ეკიპაჟისა და კუნძულზე მყოფ ცენტრალური ავიო-ჰიდროდინამიკური ინსტიტუტის ინჟინრის ამხ. ტაიცის აზრით, ხაბაროვსკისაკენ სტარტს ვერაფერი შეაფერხებს. აფრენის მოედნად ამორჩეულია ისეთი ადგილი, რის უკეთესიც კუნძულზე არ მოიპოვება. გრუნტი—ქვიშაა, ზღვის ხვიჭა. მესანგრეთა რაზმმა უკვე გაასწმინდა ძირკვებისაგან 1.300 მეტრი მოედანი.

როგორც კი აფრენის მოედანი სავსებით დამთავრდება, თვითმფრინავ „ანტ—25“-ს გადაიტანენ იქ სტარტისათვის.

პროხვატილოვი.

უდის კუნძული.

სტარტისათვის მოედანი მზად არის

ამურის-ნიკოლაევსკი, 25 ივლისი. 11 საათი და 10 წუთი. („კრასნაია ზვეზდას“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). დღეს დილით ადრე დამთავრდა მოედნის მომზადება სტარტისათვის. „ანტ—25“-ის მეთაურმა საბჭოთა კავშირის გმირმა ამხანაგმა ჩკალოვმა მადლობა გადაუხადა მესანგრეთა რაზმს: ლეიტენანტებს ლისინს, ბიკოვს, მეომრებს ნაზარენკოს, ნაუმოვს, ბასკინს და მატვეევს მოედნის სწრაფად და ჩინებულად მომზადებისათვის.

დღის 12 საათზე ადგილობრივი დროით თვითმფრინავი „ანტ—25“ გაიტანეს სტარტისათვის.

გაფრენას უამინდობა აფერხებს. მთლიანმა სქელმა ნისლმა დაფარა ოხოტის ზღვა და უდის კუნძული.

როგორც კი გამოიდარებს, თვითმფრინავი „ანტ—25“ გაფრინდება ხაბაროვსკში.

გუშინ გემის წითელფლოტელმა მხატვარმა ამხ. ალიმოვმა თვითმფრინავს დიდი წითელი ასოებით წააწერა: **„სტალინური მარშრუტი“.**

დღის 2 საათზე მოსკოვის დროით (საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით) გასინჯეს თვითმფრინავ „ანტ—25“-ის მოტორი. გასინჯვა მოხდა გმირული ეკიპაჟის ამხ. ჩკალოვის, ბაიდუკოვის, ბელიაკოვის, „ცაგის“ ინჟინრის ამხ. ტაიცის, შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის სამხედრო ინჟინრების ამხ. ბუხოვცევის და მოლჩანოვის თანდასწრებით.

მოტორი საუცხოოდ მუშაობს.

ინჟინერმა ტაიცმა განაცხადა, რომ თვითმფრინავი სრულ წესრიგშია და მზად არის შემდგომი გაფრენისათვის. კუნძული წინანდებურად ნისლშია გახვეული. ახლა წვიმა დაიწყო. გაფრენა გადაიდო ფრენისათვის ხელსაყრელ პირობების მომენტამდე.

ტიუტიუნიკი.

კუნძული უდი.

საუცხოო გაფრენა

ვაშინგტონი, 25 ივლისი. ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს საავიაციო ბიუროს დირექტორმა ვიდალმა საკ. დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა და ბელიაკოვმა საუცხოო გაფრენა მოახდინეს და, როგორც სჩანს, თითქმის უკვე დაამყარეს ძირს დაუშვებლად გადაფრენის ახალი რეკორდი, რომელიც ძველ რეკორდებს დაახლოვებით 320 კილომეტრით სჭარბობს (ადს).

სსრ კავშირის ცაკში და სახკომსაბჭოში

მოსკოვი, 21 ივლისი. სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებით შეტანილია ზოგიერთი ცვლილება მოქმედ კანონში კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

იმ კოლმეურნეთა მეურნეობებს, რომლებსაც აქვთ შემოსავალი განუსაზოგადოებელი მეურნეობიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გაუდიდდებათ განაკვეთებით 10-დან 50 მანეთამდე მეურნეობაზე.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან კოლმეურნეობათა წევრების—მუშებისა და მოსამსახურეების მეურნეობანი, რომლებშიაც დაბეგვრის ობიექტთა აღრიცხვის ჩატარების მომენტისათვის ძირითადი მუშაკი იმყოფება მუდმივ დაქირავებულ სამუშაოზე არა ნაკლებ ერთი წლისა, ხოლო მოცემული მეურნეობის დანარჩენი შრომისუნარიანი წევრები, გარდა მოსწავლეებისა და იმ პირისა, რომელიც შინამეურნეობას ეწევა, აგრეთვე მუშაობენ დაქირავებით.

ასეთივე შეღავათი იმავე პირობებში ენიჭებათ მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ დამხმარე სოფლის მეურნეობა, მაგრამ არ არიან კოლმეურნეობაში, თუ მათი დამხმარე სოფლის მეურნეობა არ აღემატება იმ ოდენობას, რაც ნებადართულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით მოცემული რაიონის კოლმეურნეებისათვის. მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობანი, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ პირობებს, მაგრამ რომლებშიაც ძირითადი მუშაკი იმყოფება მუდმივ დაქირავებულ სამუშაოზე ერთი წელიწადზე ნაკლებს, დაიბეგრებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის დაწესებული განაკვეთებით.

გაუქმებულია ამჟამად მნიშვნელობადაკარგული შეღავათები ერთპიროვნული მეურნეებისათვის, რომლებიც მუდმივ სამუშაოზე გადავიდნენ საბჭოთა მეურნეობებში. ერთპიროვნული მეურნეობებისათვის აგრეთვე გაუქმებულია განსაკუთრებული შეღავათები შაქრის ჭარხლის, კანაფის, სელის, ბამბის და სხვა ტექნიკური და სპეციალური კულტურების დაბეგვრის დარგში, აგრეთვე ღორების, შინაური კურდღლების, ფრინველის, ყარაყულის ცხვრების, ძროხების ნამატის, ხარების, ცხვრების დაბეგვრის დარგში და ზოგიერთი სხვა შეღავათები.

ერთპიროვნული გლეხური მეურნეობანი, რომლებსაც აქვთ არაშრომითი შემოსავალი (შემოსავალი შესყიდვა-გაყიდვისაგან, მუშა-ხელის დაქირავებისაგან), მათ შორის კულაკური მეურნეობანიც, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრებიან მშრომელი ერთპიროვნული მეურნეობებისათვის დაწესებული განაკვეთებით, მაგრამ არა შემოსავლის ნორმების მიხედვით, არამედ ნამდვილი შემოსავლის მიხედვით. ამ მეურნეობათა სიებს და შემოსავლის ოდენობას თვითეული მეურნეობისათვის დაამტკიცებს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

დანარჩენის მხრივ დატოვებულია კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა დაბეგვრის მოქმედი სისტემა.

იმის გამო, რომ მასწავლებელთა ხელფასი სოფლის ბიუჯეტიდან გადატანილია რაიონულ ბიუჯეტში; სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხებიდან სასოფლო ბიუჯეტში ანარიცხთა მინიმალური ოდენობა შემცირებულია 20-დან 10 პროცენტამდე.

სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით შეტანილია ზოგიერთი ცვლილება თვითდაბეგვრის მოქმედ კანონში.

ისე როგორც წინა წლებში, თვითდაბეგვრის წესით დაიბეგრებიან კოლმეურნეები, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობანი და მოქალაქეები, რომლებიც მუდმივად სასოფლო ადგილებში სცხოვრობენ, თუნდაც ისინი არ ეწეოდენ სოფლის მეურნეობას. ამ უკანასკნელთა რიცხვიდან თვითდაბეგვრისაგან განთავისუფლდებიან მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც სოფლის მეურნეობას არ ეწევიან, ორდენებით დაჯილდოვებული პირები, კადრის სამხედრო სამსახურის ომისა და შრომის ინვალიდები, პენსიონერები, სტიპენდიატი მოსწავლეები, კოოპერირებული შინამრეწველები.

შემდეგ თვითდაბეგვრის წესით არ დაიბეგრებიან კოლმეურნეობათა წევრების—მუშებისა და მოსამსახურეების მეურნეობანი, რომლებშიაც ძირითადი შრომისუნარიანი მუშაკი თვითდაბეგვრის ჩატარების მომენტისათვის არა ნაკლებ ერთი წლისა ირიცხება მუდმივ დაქირავებულ სამუშაოზე, ხოლო მეურნეობის დანარჩენი შრომისუნარიანი წევრები, მოსწავლეებისა და დიასახლისის გარდა, აგრეთვე მუშაობენ დაქირავებით. იმავე პირობებში მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობანი, რომლებიც არ არიან კოლმეურნეობებში, მაგრამ აქვთ დამხმარე სოფლის მეურნეობა, რომელიც თავისი ოდენობით არ აღემატება მოცემული ადგილის კოლმეურნეობათა დამხმარე მეურნეობას, რაც ნებადართულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით, აგრეთვე განთავისუფლებული არიან თვითდაბეგვრისაგან. უკეთუ ძირითადი მუშაკი დაქირავებულ სამუშაოზე ერთ წელიწადზე ნაკლებს მუშაობს, მუშათა და მოსამსახურეთა ასეთი მეურნეობანი მონაწილეობას ღებულობენ თვითდაბეგვრაში კოლმეურნეთა იმ მეურნეობებთან თანაბრად, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან.

სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულია თვითდაბეგვრის შემდეგი ოდენობა: კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომლებიც სრულიად განთავისუფლებული არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, მიმდინარე წელს იხდიან ხუთ-ხუთ მანეთს, კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომლებიც დაბეგრილი არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით—5-დან 15 მანეთამდე, ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობანი—სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 60 პროცენტს და ერთპიროვნული მეურნეობანი, რომლებსაც აქვთ არაშრომითი შემოსავალი (შესყიდვა-გაყიდვისაგან, მუშა-ხელის დაქირავებისაგან), მათ შორის კულაკური მეურნეობანი,—სასოფლო სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 200 პროცენტს.

არაკოოპერირებული შინამრეწველები და დანარჩენი მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ შრომითი შემოსავალი არა დაქირავებით, მონაწილეობას ღებულობენ თვითდაბეგვრაში 7-მანეთიდან 80 მანეთამდე, მათი შემოსავლის რაოდენობის მიხედვით.

უცვლელად არის დატოვებული თვითდაბეგვრის გატარების და შეგროვილი სახსრების გამოყენების წესი, სახელდობრ 65 პროცენტამდე მოხმარდება სასკოლო მშენებლობას სოფლის ადგილებში იმ თანხების დასამატებლად, რომლებსაც ბიუჯეტი ითვალისწინებს, და არა ნაკლებ 35 პროცენტისა — სოფლის კულტურულ საჭიროებებს, რაც არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტით.

გერმანიის გეგმები ჩეხოსლოვაკიის მიმართ

პარიზი, 26 ივლისი. ტაბუი „ევრში“ სწერს, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში შესაძლებლად მიაჩნიათ ჰიტლერის გერმანიის დიდი აქტივობა მომავალ ზამთარში. გარდა იმისა, რომ მზადდება დაკვრა მემელსა და ჩეხოსლოვაკიაზე, ინგლისელებს ეშინიათ აგრეთვე დანიის შლეზვიგის ოკუპაციისა. ლონდონში იციან, რომ გერმანია-ავსტრია-იტალიის შეთანხმების ერთერთი საიდუმლო მუხლი იქნება ჰიტლერისა და მუსოლინის შეთანხმება ერთმანეთისათვის ხელფეხის გახსნის შესახებ ზღვაზე გერმანიისათვის ბალტიის ზღვაზე, ხოლო იტალიისათვის — ადრიატიკის ზღვაზე.

შემდეგ ტაბუი აღნიშნავს, რომ ჩეხოსლოვაკიის მიმართ გერმანიის გეგმების განხორციელება, რაც წინათ დასახული იყო 1937 წლის შემოდგომისათვის, მოულოდნელად გადმოტანილია მიმდინარე წლის შემოდგომისათვის. ამას უკავშირებენ გენლეინის გამგზავრებასაც ლონდონში. გერმანიის გეგმა, — სწერს ტაბუი, — როგორც სჩანს, შეიცავს ჩეხოსლოვაკიის გერმანულ ოლქებში სააგიტაციო კამპანიის შემდეგ, ამ ოლქებში თავისებური აჯანყების მოწყობას ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, აგრეთვე თავისებური ავტონომიური მთავრობის შექმნას.

„ეკო დე პარის“ ლონდონელი კორესპონდენტის სიტყვით, გენლეინის ლონდონში ყოფნასთან დაკავშირებით ინგლისის მთავრობამ არათუ ენერგიულად არ დაუჭირა მხარი ჩეხოსლოვაკიას, არამედ იგი ურჩევს მას შეუთანხმდეს გერმანიას დათმობებზე წასვლის გზით. (ადს)

◇ ◇ ◇

სამი სახელმწიფოს ლონდონის თათბირის შემდეგ

პარიზი, 26 ივლისი. მთელი რიგი გაზეთები ჩერდებიან სამი სახელმწიფოს ლონდონის თათბირის შემდეგ შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობაზე და ლოკარნოს 5 სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევის პროექტზე. „ტანი“ მოწინავე სტატიაში ხაზს უსვამს, რომ გერმანია ახლა იძულებული იქნება მთელი მსოფლიოს თვალწინ ცხადჰყოს, სურს თუ არა მას შეთანხმების პოლიტიკის გზას დაადგეს. გაზეთი აღნიშნავს, რომ იტალიის პოლიტიკური წრეები ჰგმობდნენ ერთიმეორის დაპირისპირებული ბლოკების პოლიტიკას. იტალიის მთავრობა წინააღმდეგი იყო მონაწილეობა მიეღო კონფერენციაში, რომელზეც გერმანია არ იქნებოდა მიწვეული. ახლა ეს მოსაზრება ძალას ჰკარგავს, რადგან გერმანია მიწვეულია იმავე პირობებით, როგორც იტალია. „ამის შემდეგ, — მთავრდება სტატია, — რომი ბერლინთან შეთანხმებას, რომ შეეცადოს, რათა მასთან ერთად დაადგეს ხუთთა ყოველგვარი კონფერენციისადმი მტრულ პოზიციას, მაშინ აღმოჩნდება, რომ იტალია თვითონ უწყობს ხელს ბლოკების პოლიტიკას, რომელსაც იტალიის პრესა ჰგმობდა“.

ტაბუი „ევრში“, სტატიაში სათაურით „რომი და ბერლინი ხუთთა კონფერენციის წინ ერთმანეთს უთანხმდებიან“, აღნიშნავს, რომ ბერლინი ცდილობს დრო მოიგოს და მიაღწიოს იმას, რათა 5-ის კონფერენცია ნოემბერზე ადრე ვერ შეიკრიბოს (ადს).

◇ ◇ ◇

გერმანია და ავსტრია

ვენა, 26 ივლისი. როგორც ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ავსტრიის ბერლინელმა ელჩმა სთხოვა გერმანიის მთავრობას, რათა მან იკისროს ესპანეთში მყოფ ავსტრიელ ქვეშევრდომთა დაცვა. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს თხოვნა დააკმაყოფილა და სათანადო მითითებანი მისცა გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ესპანეთში და გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს. „ნოიე ფრაიე პრესის“ სიტყვით, „ავსტრიის პოლიტიკურ წრეებში ეს ღონისძიება მიაჩნიათ ავსტრია-გერმანიის შეთანხმების განხორციელებად გერმანულ სახელმწიფოთა ინტერესების ერთობის საფუძველზე“.

ავსტრიის პრესა განსაკუთრებით ხაზს უსვამს აგრეთვე იმას, რომ გერმანიის ვენელ ელჩს პაპენს „განსაკუთრებული მისიის ელჩის“ რანგი მიანიჭეს. ოფიციოზი „რეიხსპოსტი“ ამის გამო სწერს, რომ პაპენის დიპლომატიური რანგის ამაღლება ამავე დროს წარმოადგენს „პატივისცემის გამოხატულებას ახალი ავსტრიისადმი, რომელიც მიესალმება პაპენს, როგორც უცხოეთის სახელმწიფოს პირველ ელჩს ვენაში“. (ადს).

◇ ◇ ◇

იტალია-გერმანიის „მეგობრობა“

რომი, 26 ივლისი. იტალიის პრესა დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებას—გააუქმოს გერმანიის მისია ადის-აბებაში და შეცვალოს იგი გენერალური საკონსულოთი. პრესას მიაჩნია, რომ ამ აქტით გერმანიამ აღიარა აბისინიის ანექსია იტალიის მიერ. ამის გამო იტალიის პრესა ერთხელ კიდევ გამოსთქვამს თავის სიმპატიებს გერმანიის მიმართ.

„ლავორო ფაშისტა“ სწერს:

„გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილება არის ახალი გამოხატულება იმ გულწრფელი მეგობრობისა, რომელიც ახასიათებდა გერმანიის პოლიტიკას იტალია-აბისინიის კონფლიქტის მიმართ... გერმანიის გადაწყვეტილება, ისევე როგორც პოლონეთის მიერ აღიარება, წარმოადგენენ მეგობრობის აქტებს, რომელთაც იტალია არ დაივიწყებს“.

პოლონეთის მიერ იტალიის ანექსიის აღიარების შესახებ პრესა დღემდე არაფერს სწერდა. ის გარემოება, რომ იტალიის ახალმა ელჩმა პოლონეთში, დე ვალენტინომ პოლონეთის პრეზიდენტს გადასცა რწმუნებათა სიგელები, როგორც „იტალიის მეფისა და აბისინიის იმპერატორის ელჩმა“ იტალიის პრესამ დიდის ამბით აღნიშნა, მაგრამ დღემდე ეს არ ყოფილა მიჩნეული იმის დადასტურებად, რომ პოლონეთმა აღიარა აბისინიის ანექსია იტალიის მიერ.

ვენა, 26 ივლისი. „ნოიეს ვინერ ჟურნალი“ იუწყება, რომ ახლო მომავალში ბერლინს გაემგზავრებიან იტალიის კრონპრინცი უმბერტო, პროპაგანდის მინისტრი ალფიერი და მუსოლინის ორივე ვაჟი (ადს).

◇ ◇ ◇

იაპონია-მანჯურიის ხელისუფალთა საეჭვო მახინაციები საბჭოთა საზღვარზე

ხაბაროვსკი, 25 ივლისი. აქ მიღებულია ცნობები, რომ სსრ კავშირის და მანჯოუგოს საზღვარზე იაპონია-მანჯურიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახალი უკანონო აქტი ჩაიდინეს.

ა.-წ. 23 ივლისს სსრ კავშირის სანაპირო დაცვის სადარაჯო რაზმმა ტურიი როგის რაიონში საზღვრის ჩამოვლის დროს აღმოაჩინა, რომ უცნობ პირებს მოუხსნიათ და მანჯურიის ტერიტორიაზე წაუღიათ საზღვრის ნიშანი ლიტერი „ლ“, რომელიც აღნიშნავდა საზღვარს სსრ კავშირსა და მანჯურიას შორის. იმ ადგილას, სადაც საზღვრის ნიშანი იყო, აღმოაჩინეს ადამიანთა კვალი, რომელიც მანჯურიის ტერიტორიისაკენ მიდიოდა, ხოლო ლიტერი „ლ“ სანაპირო ნიშნის ადგილიდან 250 მეტრის მანძილზე, მანჯურიის ტერიტორიაზე, შეამჩნიეს მანჯურიის ჯარის ათეული, რომელიც საომარი წესით იყო დარაზმული.

საზღვრის ნიშნის მოტაცება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, რომელიც საბჭოთა კავშირის და იაპონიის მთავრობებს შორის სწარმოებს ამ უბანზე სახელმწიფო საზღვრის მომავალი რედემარკაციის შესახებ (ადს).

◇ ◇ ◇

საბჭოთა რკინიგზელების ცემა პოგრანიჩნაიას სადგურზე

ხაბაროვსკი, 25 ივლისი. აქ მიღებული ცნობების თანახმად, იაპონია-მანჯურიის ხელისუფალნი პოგრანიჩნაიას სადგურზე ყოველნაირად ცდილობენ ჩაშალონ ევროპა-აზიის პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლა. 20 ივლისს პოგრანიჩნაიას სადგურზე ადგილი ჰქონდა მხეცური ძალადობის ახალ შემთხვევას, საბჭოთა იმ რკინიგზელების მიმართ, რომლებიც მომსახურებას უწევენ სარკინიგზო მიმოსვლას შორეულ აღმოსავლეთის რკინიგზის კუთვნილ მისასვლელ გზებზე საზღვრიდან მანჯურიის სადგურ პოგრანიჩნაიამდე. შორეულ აღმოსავლეთის რკინიგზის ოსტატი რაზუვაევი, რემონტის მუშები ვირილენკო და დოროფეენკო, აგრეთვე ორი ჩინელი მუშა, როცა ისინი პოგრანიჩნაიას სადგურიდან ბრუნდებოდნენ, ლიანდაგებზე გააჩერეს იაპონელმა გუშაგებმა. ჩინელ მუშას, რომელმაც დაკავების მიზეზის განმარტება მოითხოვა, გუშაგებმა სასტიკად სცემეს. აგრეთვე სცემეს გზის ოსტატს რაზუვაევს, რომელმაც სცადა გამოერკვია ამ მხეცური ძალადობის მიზეზი. საბჭოთა რკინიგზის მუშათა მთელი ჯგუფი გუშაგებმა წაიყვანეს სამხედრო ნაწილის ყაზარმაში, სადაც კვლავ სცემეს რაზუვაევსა და ჩინელ მუშას. ამის შემდეგ ჯარისკაცებმა მუშები გამოუშვეს, მაგრამ არც კი განუმარტეს ცემის მიზეზი. სამხედრო ნაწილის თარჯიმანმა ჩინელ მუშას მხოლოდ განუცხადა: „თუ აქედან არ დაიკარგები, დაგხვრეტთ მეორე გვირაბის გადაღმა, ისე როგორც ბევრი სხვა ჩინელი დავხვრიტეთო“.

აქ მიღებული ცნობებისთანახმად, სსრ კავშირის გენერალურმა საკონსულომ ხარბინში 23 ივლისს პროტესტი განუცხადა მანჯოუ-გოს დიპლომატიურ ბიუროს საბჭოთა რკინიგზელების ცემის გამო და მოითხოვა შესწყვდეს ასეთი უმსგავსობანი, რომლებიც მუშათა სიცოცხლეს ემუქრებიან და საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ჩაშლას იწვევენ.

დიპლომატიური აგენტის თანამდებობის აღმასრულებელმა ში იუაო—ხემ აღუთქვა კონსულს, რომ გამოიძიებს ამ შემთხვევას და პროტესტის შესახებ მოხსენებას წარუდგენს მანჯურიის მთავრობას (ადს).

სამხედრო-ფაშისტური ამბოხება ესპანეთში

მთავრობის ჯარების დიდი გამარჯვებანი

პარიზი, 26 ივლისი. ესპანეთის მთავრობის ოფიციალურ განცხადებებში ლაპარაკია ახალ დიდ გამარჯვებათა შესახებ, რომლებიც გუშინ მთავრობის ჯარებმა მეამბოხეებზე მოიპოვეს. ამავე დროს გენერალი ფრანკო თავის მიმართვაში რადიოთი ცდილობს უარჰყოს მადრიდის ცნობები ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

მადრიდიდან მიღებული ცნობებით, ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინ მოწოდებით მიმართა მთელ მსოფლიოს. მინისტრი თავის მიმართვაში აცხადებს, რომ რესპუბლიკური ძალების საბოლოო გამარჯვება მოახლოვებულია. ეს რამდენიმე დღის საკითხია.

მეამბოხეთა ჯარებში დეზერტირობა იზრდება. ბევრი მეამბოხე ჯარისკაცი რესპუბლიკურ არმიებს უერთდება. მთავრობის ჯარები, რომლებიც ალბასეტეს აღების შემდეგ განთავისუფლდნენ, იგზავნებიან ანდალუზიის სხვადასხვა პუნქტებში, რათა მთავრობის ჯარების გამარჯვება დააჩქარონ. კადიქსი, სევილია, და კორდოვა ალყა შემორტყმულია მუშათა რაზმების მიერ.

ესპანეთის მთავრობა თავის კომუნიკეში ადასტურებს, რომ მთავრობის ჯარებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს სიერა დე გვადარამას მთებში (მადრიდის ჩრდილოეთით), სადაც 24 ივლისს სერიოზული ბრძოლები გაჩაღდა. მთავრობის ჯარების 3 ათასმა ჯარისკაცმა, რომლებსაც ეხმარებოდნენ პოლიციელთა რაზმები და სამოქალაქო გვარდიის რაზმები, და 3 ათასმა მუშა-რაზმელმა მეამბოხეთა ჯარები დაამარცხეს.

მთავრობის ჯარებს ამჟამად ალტო დე ლეონი უჭირავთ.

ლისაბონიდან იუწყებიან, რომ, პორტუგალიაში ჩასულ ლტოლვილთა ცნობებით, ბადახოსი (პორტუგალიის საზღვრის მახლობლად) ამჟამად მუშათა რაზმების ხელშია.

სან-სებასტიანი (ესპანეთის ჩრდილო სანაპიროზე) კვლავ მთავრობის ერთგული ჯარების ხელშია. გავრცელებული ხმების წინააღმდეგ, ქალაქისათვის მომხდარი ბრძოლების დროს მოკლულ იქნა დაახლოებით 300 კაცი, და არა 4 ათასი, როგორც თავდაპირველად იტყობინებოდნენ. ქალაქისაკენ მიმავალ გზებზე ბარიკადებია აღმართული.

მადრიდის „ელ სოსიალისტას“ ცნობით, მაშინ, როცა ქალაქი ოვიედო ფაშისტ პოლკოვნიკ არანდას ხელშია, ოვიედოს პროვინციის ბატონ-პატრონები მაღაროელი მუშები არიან. ქალაქი ოვიედო ალყაშემორტყმულია. პოლკოვნიკ არანდას წარუდგინეს მოთხოვნა დანებდეს.

ბარსელონიდან იუწყებიან რომ კატალონიის თვითმფრინავებმა სარაგოსას კვლავ დაუშინეს ყუმბარები. მთავრობის 3 თვითმფრინავმა, რომლებიც მალაგიდან მიფრინდნენ, გუშინ დილით ყუმბარები დაუშინა ალჟესირასსა და ლალინეას. აგრეთვე ბარსელონის ჰიდროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს პალმას (მაიორკის კუნძულის მთავარი ქალაქი). დასტურდება, რომ ესპანეთის ჯავშნოსანმა „ხაიმე 1“ და კრეისერებმა „ლიბერდადმა“ და „სერვანტესმა“. აგრეთვე სამმა წყალქვეშა ნავმა გუშინ ყუმბარები დაუშინეს სეუტას ნავსადგურს. ყუმბარების დაშენის შემდეგ ესპანეთის ესკადრა მალაგისაკენ გაემართა. როგორც გიბრალტარიდან იუწყებიან, მაროკოს ჯარების ორმა ეშელონმა 24 ივლისს ღამით გადასერა გიბრალტარის სრუტე. ჯარები გადმოსხდნენ ხეტარესის ბუხტში, ალჟესირასის მახლობლად. გადმოსხმული ჯარები მალაგისაკენ გაემართნენ.

დასტურდება, რომ მთავრობის ჯარებმა გუშინ ალბასეტეს მახლობლად დაიკავეს ჩინჩილია დე მონტე არაგონი, პუნქტი, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ესპანეთის მთავრობის ცნობებით, მეამბოხეთა თვითმფრინავი, რომელიც მაროკოდან ჩამოვიდა, რათა მთავრობის ჯარებისათვის ყუმბარები დაეშინა, დაეშვა მადრიდის მახლობლად და თავისი - თავი მთავრობის განკარგულებაში გამოაცხადა.

ჰავასის სააგენტო ბარსელონიდან (კატალონიის დედა - ქალაქი) გადმოგვცემს:

„ოფიციალურად იუწყებიან, რომ მოკლულთა რიცხვი ბარსელონაში ამჟამად 310 კაცს აღწევს. მადრიდის მუნიციპალიტეტმა გადასწყვიტა ყოველდღე არიგოს 20 ათასი სასურსათო ულუფა ფრონტზე მყოფ რაზმელთა ოჯახებს შორის“ (ადს).

პარიზი, 26 ივლისი. ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება, რომ მთავრობის ჯარების მიერ ალბასეტეს დაკავების შემდეგ მადრიდსა, ალიკანტასა, მურსიასა, კარტახენასა და ალბასეტეს შორის სატელეფონო კავშირი აღადგინეს.

სააგენტოს კორესპონდენტი ხენდეიდან (პუნქტი საფრანგეთ - ესპანეთის საზღვარზე) იუწყება, რომ მთავრობის ჯარებმა ყუმბარები დაუშინეს ლოიოლას ყაზარმებს, სან-სებასტიანის მახლობლად, სადაც თავმოყრილია მეამბოხეთა ძალები.

როგორც რადიოთი იუწყებიან, ვილია რობლედოში (ალბასეტეს პროვინცია) მყოფი მეამბოხენი მთავრობის ჯარებს დანებდნენ.

„პარი მიდი“ ასწერს იმ ბრძოლებს, რომლებიც მოხდა გვადარამის მთებში, მადრიდის ჩრდილოეთით 80 კილომეტრის მანძილზე. გაზეთი აღნიშნავს, რომ მთავრობის ჯარები ახლა ცდილობენ უკუაგდონ მეამბოხენი სოგოლიისა და ბურგოსისაკენ.

გაზეთის სიტყვით, ათასობით შეიარაღებული გლეხები, რომლებიც მთავრობის ჯარებს შეუერთდნენ, მოსვენებას არ აძლევენ მეამბოხეებს —განუწყვეტელი შეტაკებებით ანდალუზიის პროვინციაში.

როგორც ჰავასის სააგენტო გიბრალტარიდან იუწყება, მნახველთა სიტყვით, მალაგაში დანგრეულია ქალაქის 300 უმნიშვნელოვანესი შენობა. მოკლულია 500-ზე მეტი კაცი და დაჭრილია 2 ათასი. ინგლისის ნაღმოსანმა „ბრეზენმა“ მალაგიდან გაიყვანა 148 ინგლისელი, ამერიკელი და სხვა ეროვნებათა პირნი.

იტალიის ნაღმოსანმა „ბორეამ“ ხუელვიდან გაიყვანა 110 კაცი.

მადრიდში წესრიგი სუფევს და სახალხო მილიციის მორიგეობა მადრიდის ქუჩებში საჭირო აღარ არის. (ადს).

მთავრობის ჯარების შეტევა სარაგოსაზე

პარიზი, 25 ივლისი. ესპანეთიდან მიღებული ცნობებით, მთავრობის ჯარები განაგრძობენ შეტევას სარაგოსაზე. მადრიდის მთავრობა რადიოთი იუწყება, რომ მადრიდის ჩრდილოეთით მყოფმა მეამბოხეებმა დღეს ახალი მძიმე დამარცხება განიცადეს (ადს).

მეამბოხეებმა ყუმბარები დაუშინეს სოფ. გვადარამას

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. როგორც ესპანეთიდან იუწყებიან, მეამბოხეთა თვითმფრინავებმა ყურადღება არ მიაქციეს წითელი ჯვრის ნიშნებს და ყუმბარები დაუშინეს სოფ. გვადარამას და იქ არსებულ სავადმყოფოს. სოფელი თითქმის მოსპობილია (ადს).

იტალია მეამბოხეთ თვითმფრინავებს აწვდის

პარიზი, 25 ივლისი. როგორც ანტვერპენიდან იუწყებიან, ჰამბურგის ბანკში ოქროთი შეიტანეს 24 თვითმფრინავის ღირებულების თანხა, რომელიც ესპანელ მეამბოხეთა ლიდერმა გენერალმა ფრანკომ იტალიელ მიმწოდებლებს გადაუხადა. ამ ფულით ფრანკოს დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ თვითმფრინავები (ადს).

ესპანეთის პრემიერის ხირალის განცხადება

პარიზი, 26 ივლისი. „პტი პარიზიენმა“ მოათავსა ინტერვიუ, რომელიც ესპანეთის მთავრობის მეთაურმა ხოსე ხირალმა მისცა გაზეთის თანამშრომელს. „დემოკრატიის ძალებსა და ფაშიზმის ძალებს შორის ესპანეთში, — განაცხადა ხირალმა, —გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებს, ბრძოლა, რომლის შედეგი ესპანეთის მთავრობას საეჭვოდ არ მიაჩნია“. ხირალმა ხაზი გაუსვა, რომ ესპანეთის მშრომელი მასები გმირობასა და ენტუზიაზმს იჩენენ მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლაში (ადს).

ხილ რობლესი საფრანგეთის საზღვრებიდან გააძევეს

პარიზი, 26 ივლისი. ფრანგული გაზეთების ცნობებით, ესპანეთის ფაშისტების ლიდერმა ხილ რობლესმა და მათთვის ფინანსების მიმწოდებელმა მილიონერმა ხუან მარჩმა საფრანგეთის ხელისუფალთა დადგენილების შესაბამისად დასტოვეს ბიარიცი (საფრანგეთი). ხილ რობლესი, ვითომ, ჩაჯდა შორეული მიმოსვლის გემში, რომელიც სამხრეთ ამერიკას მიემგზავრება. (ადს)

გაზეთ „ჯორნალე დ' იტალია“ უარჰყოფს

რომი, 26 ივლისი. ეკამათება რა იტალიისა და საფრანგეთის პრესას, „ჯორნალე დ' იტალია“ გადაჭრით უარჰყოფს, რომ იტალია დაკავშირებულია ესპანეთის მეამბოხეებთან და რომ გენერალმა ფრანკომ იტალიაში ოცი თვითმფრინავი შეისყიდა (ადს).

ესპანეთის გმირ ხალხთა სოლიდარობის ნიშნად

პარიზი, 25 ივლისი. „ლუმანიტე“ იუწყება, რომ საფრანგეთის მრავალრიცხოვანი პოლიტიკური, პროფკავშირული და კულტურული ორგანიზაციები უშუალოდ გზავნიან ესპანეთში ესპანეთის გმირ ხალხთან სოლიდარობის დეპეშებსა და რეზოლუციებს (ადს).

◇ ◇ ◇

მშვიდობიანობის კონფერენცია

პრაღა, 25 ივლისი. დღეს გაიხსნა მშვიდობიანობისათვის მოძრაობის წარმომადგენელთა საერთაშორისო კონფერენცია ევროპის ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. კონფერენციამ ბრიუსელის მომავალი სამშვიდობო კონგრესისათვის მზადების ჩარჩოებში უნდა მოაწყოს აღნიშნული ქვეყნების ხალხთა თანამშრომლობა.

კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობენ: ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, სამხრეთ-სლავიის, ავსტრიის, პოლონეთის, ლატვის და შვეციის, აგრეთვე საფრანგეთის და ინგლისის წარმომადგენლები.

დღევანდელ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა მშვიდობიანობისათვის საერთაშორისო მოძრაობის ჩეხოსლოვაკიის კომიტეტის თავმჯდომარე დეპუტატი კოზაკი, რომელმაც განაცხადა, რომ ევროპაში მშვიდობიანობის საერთაშორისო მოძრაობაში 30 მილიონი კაცი იღებს მონაწილეობას, მათ შორის 4 მილიონი ჩეხოსლოვაკიაში. დასასრულ კოზაკმა განაცხადა:

„დღეს დადგა დრო, როცა ყველა ხალხმა ხმამაღლა უნდა გამოსთქვას თავისი აზრი მშვიდობიანობის სასარგებლოდ და მიაღწიოს თავის მიზანს. ერთიანი ფრონტი მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში უნდა განხორციელდეს რადაც უნდა დაგვიჯდეს“ (ადს).

○ ○ ○

ცხარე პროტესტი ფაშისტური ოლიმპიადის წინააღმდეგ

პრაღა, 26 ივლისი. პრაღის ცენტრში გერმანიის სანაოსნო მიმოსვლის შენობის ვიტრინის წინ, სადაც გამოკიდებული იყო პლაკატი ბერლინის მომავალი სასპორტო ოლიმპიადის შესახებ, გუშინ საღამოს თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა, რომელმაც ცხარე პროტესტი განაცხადა ფაშისტური ოლიმპიადის წინააღმდეგ. (ადს).

დებულება იაპონიის საჰაერო ძალთა მმართველობის შესახებ

ტოკიო, 26 ივლისი. დომეი ცუსინის სააგენტომ გამოაქვეყნა ახალი დებულება იაპონიის არმიის საჰაერო ძალთა მმართველობის შესახებ. დებულებაში ნათქვამია, რომ საჰაერო ძალთა სამმართველოს უფროსს ნიშნავს იმპერატორი გენერალთა ან გენერალ-ლეიტენანტთა რიცხვიდან და იგი უშუალოდ იმპერატორს ემორჩილება. ახალი დებულების თანახმად, საჰაერო ძალთა სამმართველოს უფროსი უფლებათა მხრივ გაუთანასწორდება სამხედრო მინისტრს, გენერალური შტაბის უფროსს და სამხედრო სწავლების გენერალურ ინსპექტორს.

სააგენტოს გადმოცემით, იმის გამო, რომ ავიალეგიონები დივიზიებიდან უშუალოდ საჰაერო ძალთა სამმართველოს გადაეცა, იაპონიის არმიის საჰაერო ძალთა სტრუქტურა შემდეგნაირი იქნება: 1) საჰაერო ძალთა სამმართველო; 2) პირველი ავიაბრიგადა კაგამიგახარაში 1, 2 და 7 ავიოლეგიონების შემადგენლობით. (პირველი ორი ლეგიონი დაბანაკებულია კაგამიგახარაში, უკანასკნელი — ხამამაცუში); 3) მეორე ავიაბრიგადა კორეაში 6 ავიოლეგიონის შემადგენლობით (ხეიძიოში) და მე-9 კაინეიში ან ხაირენში (კორეის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კორეა-მანჯურიის საზღვარზე) და 4) მესამე ავიოლეგიონი იოკიციში. მეოთხე ავიოლეგიონი ტაციარაიში, მე-5 ავიოლეგიონი ტაციკავაში და მე-8 ავიოლეგიონი ცეიტოში (ფორმოზაზე) უშუალოდ ემორჩილებიან საჰაერო ძალთა სამმართველოს (ადს).

◇ ○ ◇

საპროტესტო მოძრაობა ედგარ ანდრესათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის წინააღმდეგ

პრაღა, 26 ივლისი. ჩეხოსლოვაკიაში უფრო და უფრო ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა გერმანიის ფაშისტების მიერ ედგარ ანდრესათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის წინააღმდეგ. პრაღაში გერმანიის მისიაში გამოცხადდა დელეგაცია, რომელმაც პრაღის მუშათა სახელით პროტესტი განაცხადა სასიკვდილო განაჩენის წინააღმდეგ. საპროტესტო მიტინგები იმართება ყველა მნიშვნელოვან პუნქტში, განსაკუთრებით ოსტრავაში (მორავია) და მის მიდამოებში, სადაც უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ედგარ ანდრესათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის წინააღმდეგ პროტესტს ხელი მოაწერა 5 ათასმა კაცმა. ტეპლიცასა და მის მიდამოებში (ჩრდილო-ჩეხია) პროტესტს ხელი მოაწერა 20 ათასმა კაცმა (ადს).

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოთ კერძო პირთ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის (ბამბეული, შალეული, სელის და აბრეშუმის ქსოვილები, სამკერვალო და სატრიკოტაჟო ნაკეთობა, გალანტერია, ფეხსაცმელი, საოჯახო საქონელი, ველოსიპედი, პატეფონი და მისი ფირფიტები და სხვა მისთ.) გაყიდვა, ბაზარში გაყიდვის გამოკლებით და ისიც ისეთ ფასად, რაც არ აღემატება ადგილობრივი სახელმწიფო და კოოპერატიული მოვაჭრე ორგანიზაციების მაღაზიების სახელმწიფო ფასს.

შენიშვნა 1. ქუჩებში და ეზოებში ფართო მოხმარების საქონლის გაყიდვისა და შესყიდვის ნებართვა ეძლევათ მხოლოდ ახალი და ნახმარი ნივთების შემსყიდველი სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების აგენტებს, რომელთაც უნდა ჰქონდეთ სათანადო მოწმობა და სათანადო ფორმის ტანისამოსი.

შენიშვნა 2. ადგილობრივი სახელმწიფო და კოოპერაციული მოვაჭრე ორგანიზაციების მაღაზიების ფასად იგულისხმება საერთო სავაჭრო ქსელის სახელმწიფო ფასები და არა სანიმუშო-საჩვენებელი „უნივერმაღების“ ფასები.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ნივთების გაყიდვა ბაზრებში შეიძლება მხოლოდ თითოჯერითი გამოსაღების გადახდისას 20 კაპ. რაოდენობით.

3. დაევალოს რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს გააძლიეროს სამილიციო სამუშაოები ბაზრებში, სამრეწველო საქონლით მოვაჭრე იმ პირთა დასაჭერად, რომელთაც არა აქვთ ტალონები თითოჯერითი გამოსაღების გადახდის შესახებ და არღვევენ დაწესებულ სახელმწიფო საცალო ფასებს.

4. რესპუბლიკის პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველომ უნდა მოახდინონ თავიანთი ხაზით განკარგულება, რათა ამ დადგენილების დამრღვევნი მიცემულ იქნან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111 და 142 მუხლების თანახმად.

5. დაევალოს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის მომუშავეთა პროფესიული კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, საბჭოთა სექციებისა და პროფაქტივის მეშვეობით, ფართოდ დაიხმარონ საბჭოთა საზოგადოებრიობა ამ დადგენილების განხორციელებისას და ჩააბან იგი ბაზრებზე სამრეწველო საქონლის ვაჭრობისათვის და დაწესებული ფასების დაცვისათვის ფხიზელი კონტროლის გაწევის საქმეში.

6. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელდეს საქართველოს სსრ-ის მთელ ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ჩათვლით.

II.

ამა დადგენილების 1-ლი კარის შესაბამისად, 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილებაში ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ, შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-18 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 14, მუხ. 84) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„18. თითოჯერითი გამოსაღები გადახდება კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხებს, რომელნიც ჰყიდიან თავიანთ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების პროდუქტებს, თავიანთ საკუთარ ოთხფეხ საქონელს, თავიანთ მიერ დამზადებულ შეშას და ნახშირს და აგრეთვე თავიანთი შრომით მოპოვებულ ხილეულს, სოკოს, ყვავილებს, თევზს და ნანადირევს; მშრომელ შინამრეწველთ, რომელნიც ჰყიდიან თავიანთი წარმოების ნაკეთობას; ქალაქის მცხოვრებლებს, რომელნიც ჰყიდიან თავიანთი დამხმარე სასოფლო მეურნეობის პროდუქტებს (თავიანთი ძროხის რძეს, თავიანთი ბაღის ან ბოსტნის ხილს და ბოსტნეულს) და იმ პირთ, რომელნიც ჰყიდიან ფართო მოხმარების სამრეწველო საქონელს.

თითოჯერითი გამოსაღების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი დღის ვაჭრობისათვის:

საზიდარით ვაჭრობისათვის 1 მან.

ხელზე, თაბხით და სხვა მისთ. ვაჭრობისათვის 20 კაპ.

თითო სულ მსხვილფეხა საქონელზე 1 მან.

თითო სულ წვრილფეხა საქონელზე 50 კაპ.

2. მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-10 №-ი, მუხ. 57) გაუქმებულ იქნას.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდ. მოვ. აღმ. თ. ჟღენტი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. აღმ. ო. ჩხეიძე.

1936 წ. ივლისის 27.
ტფილისი.

ალ. ნუცუბიძე

უკანასკნელი მოვლენები მსოფლიო აგრარულ კრიზისში

„განსაკუთრებული სახის დეპრესიამ“ 1932 წლიდან რამდენადმე სხვა მიმართულება მისცა კრიზისის მიმდინარეობას ქვეყნების ერთი ჯგუფის (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, კანადა, გერმანია იაპონია და სხვ.) სოფლის მეურნეობაში. ქვეყნის მეორე ჯგუფში (საფრანგეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ჰოლანდია, ესპანეთი, დუნაის ქვეყნები, კოლონიები და ნახევრადკოლონიები) აგრარული კრიზისი კიდევ კარგა ხანს მოქმედებდა წინანდელი გამანადგურებელი ძალით. 1935 წლის ნახევრიდან „განსაკუთრებული სახის დეპრესიამ“ სოფლის მეურნეობაში საყოველთაო ხასიათი მიიღო.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღვნიშნოთ, რომ „განსაკუთრებული სახის დეპრესია“ სოფლის მეურნეობაში შეეხო მხოლოდ კაპიტალისტურ ჯგუფებს: მემამულეებს, კულაკებს და მსხვილ აგრარიებს. წვრილ და საშუალო მწარმოებელთა მდგომარეობა ახლანდელი დეპრესიის პერიოდში ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. პირიქით, მათი მდგომარეობა უფრო გაუარესდა. წვრილი და საშუალო მწარმოებლები „განსაკუთრებული სახის დეპრესიამდე“ გაღატაკების ისეთ დონემდე მივიდნენ, რომ დეპრესიის პერიოდში მათ უკვე აღარ შეეძლოთ სას.-სამეურნეო პროდუქტების წარმოება პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო რაოდენობითაც კი. ამიტომ საჭირო პროდუქტების ყიდვა მათ გადიდებულ ფასებში უხდებოდათ. წვრილ მწარმოებელთა მდგომარეობა მით უფრო აუტანელი გახდა, რომ მათ გასასყიდი თითქმის აღარაფერი გააჩნდათ, ყიდვით კი ყველაფერი უნდა ეყიდნათ. განსაკუთრებული სახის დეპრესიის პერიოდში წვრილი მწარმოებლები მასობრივად მოექცნენ მსხვილი მწარმოებლების გაძლიერებული ექსპლოატაციის კლანჭებში. მსხვილმა სას.-სამეურნეო კაპიტალისტურმა მწარმოებლებმა თავიანთი მდგომარეობა ნაწილობრივ გაიუმჯობესეს წვრილ მწარმოებელთა და სოფლის დაქირავებული მუშების ხარჯზე, „მათი შრომის ინტენსივობის და ექსპლოატაციის გაძლიერების გზით“ (სტალინი). ამგვარად, ახლანდელი დეპრესია დასაწყისიდანვე მოექცა კიდევ უფრო მწვავე, გაძლიერებულ ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა, კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა ხლართში.

სას.-სამეურნეო პროდუქტების მსოფლიო მარაგი საგრძნობლად შემცირდა. 1936 წლის 1-ლ იანვრისათვის ხორბლის მსოფლიო მარაგის შემცირება ისეთ სურათს იძლევა, როგორიც, ერთერთი ამერიკული ჟურნალის „ჰუიტ სტადის“ თქმით, 1929 წლის შემდეგ არც ერთ სხვა წელს არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ პურის მსოფლიო მარაგი სავსებით გაქრა.

მთელი რიგი მონაცემები მოწმობს, რომ პურის მსოფლიო მარაგი ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია და, როგორც კანადის ეკონომისტი ჰული აცხადებს, მისი გაქრობისაგან კაპიტალისტური მსოფლიო ჯერ კიდევ შორს არის. ზოგიერთ ცალკე ქვეყანაში პურის მარაგი უკანასკნელ ხანებში არა თუ მცირდება, პირიქით, იზრდება კიდეც. ამას ნათლად ადასტურებს შემდეგი მონაცემები. ჟურნალ „კროპს ენდ მარკეტის“ (1936 წ. იანვარი) ცნობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფერმერთა პურის მარაგი 1933 წლის 1 იანვრიდან 1936 წლის 1-ლ იანვრამდე მერყეობდა შემდეგნაირად: 1933 წელს ის უდრიდა 271.608.000 ბუშელს, 1934 წელს — 189,837.000 ბუშელს, 1935 წელს — 137.504.000 ბუშელს. 1936 წელს 159.390.000 ბუშელს. როგორც ვხედავთ, ამერიკის ფერმერთა პურის მარაგი 1933 წლიდან 1935 წლამდე კლებულობდა, 1936 წელს კი მას ზრდა დაეტყო. ასევე გაიზარდა ნათესის სივრცეც. მაგალითად, 1934 წელს ნათესი ფართობი უდრიდა 42,2 მილიონ აკრს, 1935 წელს — 50 მილიონ აკრს. 1936 წელს ხორბლის ნათესების საბოლოო ცნობები ჯერ კიდევ არ არსებობს, მაგრამ, როგორც სარწმუნო წყაროებიდან სჩანს, მიმდინარე წელს ნათესები გაცილებით უფრო მეტი იქნება. ამერიკის უზენაეს სასამართლოს მიერ რუზველტის „სოფლის მეურნეობის დახმარების აქტის“ გაუქმებამ ფერმერებს შესაძლებლობა მისცა გაედიდებინათ ნათესების ფართობი.

ასეთივე მდგომარეობაა სიმინდისა და ზოგიერთი სხვა კულტურის წარმოების დარგშიც. ფერმერთა სიმინდის მარაგი 1933 წლის 1-ლი იანვრისათვის უდრიდა 1.813.479.000 ბუშელს, 1934 წელს—1.433.740.000 ბუშელს, 1935 წელს—1.433.740.000 ბუშელს, 1936 წელს—1.342.908.000 ბუშელს. როგორც ვხედავთ, 1936 წელს სიმინდის მარაგი ისევ იწყებს ზრდას და თითქმის უახლოვდება 1933 წლის დონეს. შვრიის მარაგი 1933 წ. 1 იანვრისათვის უდრიდა 763.195.000 ბუშელს, 1934 წელს — 456.283.000 ბუშელს, 1935 წელს — 343.779.000 ბუშელს, 1936 წელს კი — 771.452.000 ბუშელს.

თუ აღნიშნული პროდუქტების წარმოების დარგში ჩვენ ვამჩნევთ მარაგის ასე თუ ისე შესამჩნევ ზრდას, ჯერჯერობით ეს არ შეიძლება ითქვას მესაქონლეობის დარგზე. 1933-1934 წლ. პირუტყვის უდიდესი რაოდენობა გაანადგურეს, გადაჰყარეს მდინარე მისისიპში. ამის შედეგად ჩვენ ვხედავთ პროდუქტიული პირუტყვის და ჯოგის შემცირებას 1935-1936 წელს. მაგალითად, მეწველი ძროხების რაოდენობა ამერიკაში 1934 წელს უდრიდა 27 მილიონ სულს, 1935 წელს — 26,2 მილიონს, 1936 წელს — 25,6 მილიონს; ცხვრის და ბატკნების რაოდენობა 1934 წელს უდრიდა 53,7 მილიონ სულს, 1935 წ. — 52,2 მილიონს, 1936 წელს კი — 51.7 მილიონ სულს. პირუტყვის სულადობა 1934 წ. უდრიდა 74.2 მილიონს, 1935 წელს — 68,5 მილიონს, ხოლო 1936 წ. 68,2 მილიონს. 1936 წელს ისევ დაეტყო ზრდა ღორებისა და გოჭების სულადობას. 1934 წელს ის უდრიდა 58,6 მილიონს, 1935 წელს — 39 მილიონს, ხოლო 1936 წელს კი 42,5 მილიონს.

საერთოდ ჩვენ ვხედავთ, რომ მესაქონლეობის დარგში უკანასკნელ ხანებამდე გრძელდება პირუტყვის შემცირება. ეს გარემოება საკმაო გახდა მესაქონლეობის პროდუქტების ბაზრის შედარებით ხელსაყრელი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საინტერესო მოვლენა. პირუტყვის სულადობის შემცირებას იმავე შეფარდებით არ მიჰყვება პროდუქტების წარმოება. პირიქით, მესაქონლეობის პროდუქტების წარმოება უკანასკნელ ხანებში იწყებს ზრდას — ამერიკის ბაზარს ყოველდღიურად ისევ ემატება რძე, კარაქი, ყველი და სხვ. საინფორმაციო საბჭოს უკანასკნელი ანგარიშიდან სჩანს, რომ ამერიკაში თითეულმა ძროხამ წველა მოიმატა საშუალოდ 6 პროცენტით. 1936 წლის თებერვალში ყველის წარმოება გასულ წელთან შედარებით 25 პროცენტით მეტი იყო. ცალკე შტატებში მატება კიდევ უფრო დიდია. მაგალითად, შტატ ვისკონსინში მიმდინარე წლის თებერვალში გასული წლის თებერვალთან შედარებით ყველის წარმოებამ 30 პროცენტით მოიმატა, შტატ ნიუ-იორკში — 20 პროცენტით და სხვ. აქედან ვხედავთ, რომ, მიუხედავად პირუტყვის სულადობის შემცირებისა, პროდუქტიულობა თანდათანობით იზრდება, თუ ამას დავუმატებთ აგრეთვე, რომ უკანასკნელ ხანებში პირუტყვის სულადობაც იწყებს „აღდგენას“, ნათელი გახდება, რომ მესაქონლეობის დარგშიც ამერიკაში დიდი მარაგის გაჩენაა მოსალოდნელი.

რა მდგომარეობაა სხვა ქვეყნებში? ავიღოთ კანადა. პურის მარაგი აქაც საკმაოდ შემცირდა. 1936 წლის 1-ლი იანვრისათვის ის 20 მილიონი ბუშელით ნაკლები იყო გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. მიუხედავად ამისა, კანადას მაინც მოეპოვება პურის საკმაო მარაგი. ოტავას სტატისტიკური ბიუროს ცნობით, კანადის პურის მოსავალი 1935 წელს უდრიდა 277.339.000 ბუშელს, 1934 წლის 275.849.000 ბუშელის ნაცვლად. აქედან საექსპორტო მარაგი შეადგენდა 200 მილიონ ბუშელს. კანადის პურის უდიდესი რაოდენობა ამჟამად თავმოყრილია პროვინცია ალბერტის ელევატორებსა, კანადის და შეერთებული შტატების ნავსადგურებში. ყველა ამ დასახელებულ ადგილში 105 მილიონი ბუშელი კანადის პურია დაგროვილი. შედარებით სხვა მდგომარეობაა არგენტინაში. აქ უკანასკნელ ხანებამდე გრძელდება პურის მარაგის შემცირება. 1935-36 წლ. სეზონში არგენტინის პურის ნათესის სივრცე უდრიდა 1.913.000 აკრს, ხოლო მოსავალი 3.857,000 ტონას, 1934-35 წლის სეზონის 17.155.000 აკრ-ნათესი ფართობისა და 6.447.000 ტონა მოსავლის ნაცვლად. არგენტინას საკუთარი საჭიროებისათვის უნდება სულ 2,600.000 ტონა, დანარჩენი რჩება საექსპორტოდ. ავსტრალიაში 1935-36 წლ. სეზონში პურის მოსავალი უდრიდა 140 მილიონ ბუშელს 1934-35 წლ. სეზონის 134.431.000 ბუშელის ნაცვლად. მოსავლის გადიდებას მთელ რიგ ქვეყნებში ჩვენ ვამჩნევთ სას.-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სხვა დარგებშიც. მაგალითად, ბრინჯის მოსავალი კორეაში 1935 წელს უდრიდა 72.898.000 ცენტალს 1934 წლის 68,402.000 ცენტალის ნაცვლად. იაპონიაში 1935 წელს ბრინჯის მოსავალი უდრიდა 57.060.000 კოკის 1934 წლის 51.840.000 კოკის ნაცვლად. გარდა ამისა, ბრინჯის მოსავალი შესამჩნევად გაიზარდა კოხინხინში, ეგვიპტეში და სხვ. ჩინეთში მას ჯერ კიდევ არ ემჩნევა მნიშვნელოვანი ცვლილება. ამერიკის შეერთებულ შტატებში უხეში ბრინჯის მოსავალი 1935 წელს შეადგენდა 17.415.000 ცენტალს 1934 წლის 17.233.000 ცენტალის ნაცვლად.

ბამბის მოსავალი ეგვიპტეში 1935-36 წლის სეზონში უდრიდა 2.091.000 შეკვრას 1934-35 წლის სეზონის 1.871.000 შეკვრის ნაცვლად. ბამბის მოსავალი გაიზარდა შეერთებულ შტატებშიც. **კაუჩუკის** მოსავლის საქმე კაუჩუკის მსოფლიო „მომწესრიგებელ“ კომიტეტს ასე აქვს „დაგეგმილი“: ჰოლანდიის ინდოეთმა, ცეილონმა, ინდოეთმა, ბირმამ, ბორნეო, სიამმა და სხვ.. 1936 წელს კაუჩუკი უნდა მოიყვანონ 1.254.000 დიდი ტონა 1935 წლის 1.118.500 დიდი ტონის ნაცვლად. 1937 წელს კაუჩუკის მოსავალი კვოტირებულია 1.298.500 დიდი ტონა, 1938 წელს 1.335.250 დიდი ტონა, რა ღონისძიებასაც არ უნდა მიმართოს კომიტეტმა, კაუჩუკის წარმოების მოწესრიგებას მაინც ვერ შესძლებს, ვინაიდან კაუჩუკის წარმოების კვოტის ზუსტი შესრულება არცერთ დასახელებულ ქვეყანას არ შეუძლია. ამ გზით კაუჩუკის მარაგის პრობლემის გადაწყვეტას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ველოდეთ. იგივე შეიძლება ითქვას ჩაის, ყავის და სხვ. შესახებ. რომელთა წარმოების „მოწესრიგებისათვის“ ვალორიზაცია ისევ ითვლება ძირითად „ღონისძიებად“, მიუხედავად იმისა, რომ ამ „ღონისძიებამ“ მრავალჯერ განიცადა ფიასკო. რას გვეუბნება ყველა ზემომოყვანილი ფაქტი. იგი იმას გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად მთავრობის საგანგებო ღონისძიებებისა სას.-სამეურნეო პროდუქტების მარაგის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მაინც არსებობს მისი გადიდების ტენდენცია. ახლანდელი აგრარული კრიზისის ერთერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ ექსპორტიორ ქვეყნების სას.-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას ზუსტად არ შეეფარდება იმპორტიორ ქვეყნების მოთხოვნილება. იმპორტიორ ქვეყნებისათვის უფრო და უფრო დამახასიათებელი ხდება საიმპორტო პროდუქტების მოხმარების შემცირება და ძირითადად გადასვლა საკუთარი სას.-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გაფართოებაზე, გადასვლა „თვითმომარაგებაზე“. ევროპის მთელი რიგი ქვეყნები (გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, რუმინეთი, სამხრეთსლავია, პოლონეთი, უნგრეთი ბულგარეთი და სხვ.) ფართო მასშტაბით მიმართავენ საკუთარი სას.-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასა და ექსპორტიორ ქვეყნებზე დამოკიდებულებისაგან თავის განთავისუფლებას. ინგლისი თითქმის სავსებით დამყარებულია თავისი კოლონიების სას.-სამეურნეო პროდუქტების მოხმარებაზე. მუსოლინის მიერ მთელი რიგი სას.-სამეურნეო კორპორაციების დაარსება მიზნად ისახავს საკუთარი სას.-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას და იტალიის მზადყოფნას ომისათვის. ჰიტლერის ფაშისტური მთავრობა გაძაბული ტემპით ამზადებს გერმანიის სოფლის მეურნეობას ომისათვის. გერმანიის ფაშისტური მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის იძულებითი კარტელიზაცია მიზნად ისახავს სას.-სამეურნეო პროდუქტების თვითმომარაგების გაფართოებას. ჯერ კიდევ 1933 წლის 8 აგვისტოს მიწათმოქმედების მინისტრი დარე საქვეყნოდ აცხადებდა, რომ ამ ხორბლის 97 პროცენტი, რომელსაც გერმანიის წისქვილები დაფქვავენ, გერმანული უნდა იყოსო.

ამჟამად პურის მწარმოებელი ქვეყნებიდან გასულ წლებთან შედარებით უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს პურის ექსპორტი. ესეც გვიჩვენებს მსოფლიო ბაზრის შემცირების უდაო ფაქტს. არგენტინაში 1.840.853 ტონა საექსპორტო პურიდან 1936 წლის 1-ლ იანვრისათვის ექსპორტირებული იყო 87,808 ტონა პური. ამავე რიცხვისათვის გასულ წელს ექსპორტირებული იყო 485,698 ტონა პური. საექსპორტო პურს წელს მეტი ხნით უხდება საწყობებში, ელევატორებში და ნავთსადგურებში გაჩერება იმის გამო, რომ ბრუნვის პროცესს უფრო მეტი შენელება დაეტყო. პური ჩვენ სანიმუშოდ დავასახელეთ. ასეთივე მდგომარეობა არსებობს სხვა სახის სას.-სამეურნეო პროდუქტების გასაღებაშიც. ცნობილია, რომ ამერიკის თამბაქოს ძირითად მომხმარებელს ჩინეთი შეადგენს. უკანასკნელ ხანებში ჩინეთმა საგრძნობლად შეამცირა ამერიკის თამბაქოს მოხმარება. ამერიკის სას. სამეურნეო რწმუნებულის დავისის ცნობით შანხაიდან, ჩინეთმა ამერიკის თამბაქოზე მოთხოვნილება 1935 წლის ოქტომბრიდან 1936 წლის თებერვლამდე 14.345.000 გირვანქიდან 6,077.000 გირვანქამდე შეამცირა. ასევე ამცირებენ მოთხოვნილებას მთელი რიგი ქვეყნები ხორცზე. ევროპის ხორცის მომხმარებელი ყველა ქვეყნის ხორცის იმპორტის რაოდენობა 1933 წელს უდრიდა 1.235.056 ათას გირვანქას, 1934 წელს — 1.230.414 ათას გირვ., 1935 წელს კი—1.223.984 ათას გირვანქას. მარტო საფრანგეთმა ხორცის მოხმარება 53 პროცენტით შეამცირა. 1934 წლის 13.000.000 გირვანქიდან ხორცის შემოტანა 1935 წელს მან შეამცირა 6.000.000 გირვანქამდე. 1935 წელს ხორცის გატანა არგენტინიდან 1 პროც. ნაკლები იყო 1934 წელთან შედარებით, ურუგვაიდან —10 პროცენტით ნაკლები. 1936 წელს ხორცის გატანა ამ ქვეყნებიდან კიდევ უფრო ნაკლებია. შედარებით სხვა მდგომარეობაა ბრაზილიაში, საიდანაც, იტალიის და ნაწილობრივ გერმანიის საომარ ოპერაციებთან დაკავშირებით ხორცის მოხმარების გადიდების შედეგად, გაიზარდა ხორცის ექსპორტის რაოდენობა. მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. საზოგადოდ ხორცის ბაზარს ისევე ემჩნევა შემცირება, როგორც ყველა სხვა სას.-სამეურნეო პროდუქტების ბაზარს.

აქ ჩვენ განგებ დავუპირდაპირეთ ერთმანეთს იმპორტიორ და ექსპორტიორ ქვეყნების ჯგუფები. ამ დაპირდაპირებით ჩვენ გვსურდა გვეჩვენებინა ექსპორტიორ ქვეყნებში სას.-სამეურნეო პროდუქტების წარმოების თანდათანობით გადიდება, იმპორტიორ ქვეყნებში კი საიმპორტო პროდუქტებზე მოხმარების თანდათანობით შემცირება და მათი გადასვლა სას.-სამეურნეო პროდუქტების წარმოების საკუთარ ბაზაზე. რასაკვირველია, „თვითდაკმაყოფილების“ აბსოლუტურად განხორციელება არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ შეუძლია, მაგრამ ბრძოლამ იმპორტის შემცირებისა და საკუთარი წარმოების ბაზის გაფართოებისათვის არ შეიძლება უდიდესი გავლენა არ მოახდინოს მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურაზე. მსოფლიო ბაზრის შემცირება, რომელიც ახლანდელი კაპიტალიზმის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს, უაღრესად მწვავე ფორმას ღებულობს. ეს გარემოება ისევ ჰქმნის სას.-სამეურნეო (და სამრეწველოსაც) პროდუქტების კიდევ ახალი მარაგის გაჩენის შესაძლებლობას.

აგრარული კრიზისი დღესდღეობით რამდენადმე შესუსტდა, აღარ მოქმედობს წინანდელი ძალით..

რასაკვირველია, ეს სრულებითაც არ მოასწავებს აგრარული კრიზისის დამთავრებას, სოფლის მეურნეობის გამოსვლას კრიზისული მდგომარეობიდან. აგრარული კრიზისები ისევ გრძელდება და მთელ რიგ შემთხვევებში კიდევ უფრო მწვავე ხასიათს ატარებს.

მოსავალს ვერ იღებენ, პური ფუჭდება

(თელავი „კომუნისტი"-ს სპეც. კორესპონდენტისაგან)

წელს კახეთში ყველა კულტურის დიდი, ჯერ არნახული მოსავალია. გამოცდილი და ხანში შესული კოლმეურნენი ამბობენ, „ასეთ მოსავალს არ მოვსწრებივართო". კარგა პირი უჩანს ყურძენს და მზესუმზირასაც, ბევრია სათიბი ბალახიც, არა მარტო სპეციალურ სათიბ ნაკვეთებზე, არამედ ნაპურალებშიაც.

როგორ შეხვდნენ ასეთ დიდ მოსავალს რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები? მზად იყვნენ თუ არა ისინი ამ ზღვადქცეული მოსავლის, პირველ რიგში, პურის ასაღებად?

23306 ჰექტარი პურის ალება, რაც წელს დათესილი აქვს თელავის რაიონს, სერიოზულ მოსამზადებელ მუშაობას მოითხოვდა. ფაქტები საბუთს გვაძლევენ ვთქვათ: თელავის რაიონი მოსავლის აღებას მოუმზადებელი შეხვდა, ასეთი დიდი მოსავალი იქაურ მუშაკთათვის მოულოდნელი იყო. მაშ რით აიხსნება მკისა და ლეწვის დიდი ჩამორჩენა, რაც ნახევარზე მეტ მოსავალს სერიოზულ საფრთხეს უქმნის?

სოფ. შალაურისა და კონდოლის კოლმეურნეობაში მდგომარეობა მეტად ცუდია. ასაღები აქვთ ნახევარზე მეტი პური, ხოლო გასალეწი მთელი მოსავლის ორი მესამედი, პირდაპირ უნუგეშო მდგომარეობაშია კოლმეურნეობა „კომუნის გზაზე". მას არა აქვს დადებული ხელშეკრულება მტს-თან, არც თვითონა აქვს სამკელი მანქანები, რის გამო 120 ჰექტ. პური მარტო ხელით იმკება.

ამ კოლმეურნეობას მიწგანი და მტს-ი ძალიან სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ხერხელაურმა მიწგანის გამგეს და მტს-ის მთავარ აგრონომს უსაყვედურა: „არ გვაქცევთ ყურადღებას, არ გაინტერესებთ ვღუპავთ კოლმეურნეობას, თუ ვაშენებთო". ასეთივე მდგომარეობაა სოფ. კონდოლის პირველ კოლმეურნეობაში, აქ 90 ჰექტარიდან დღეისათვის მომკილი აქვთ 80 ჰექტარამდე.

სოფ. შალაურის ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინი ყოველდღიურ გეგმას, რომელიც 17 ჰექტარს უდრის, ასრულებს, მაგრამ შესრულებული სამუშაოს ხარისხი ძალიან დაბალია. იმკება ძლიერ დიდი ხარვეზებით, კომბაინი სანიავებელს აყოლებს გალეწილ მარცვალს და გზა და გზა ჰფანტავს თავგაფუშებულ ნამჯას, დანაკარგები 5-10 პროცენტამდე აღწევს. ეს სერიოზულ ხელმეორე შრომას, დარჩენილი ხარვეზების ნამგლით გამომკას, თავთავის აკრეფას და ნამჯის მოფოცხვას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ კომბაინზე მომუშავეთა შორის არ არის განმტკიცებული შრომის დისციპლინა. კომბაინს ნორმაზე მეტი ხალხი ასხედს. თვით კომბაინერი და აღმრიცხველი ღვინით შეზარხოშებული მუშაობენ, რასაც ადვილი შესაძლებელია მანქანის დაზიანება და გალეწილი პურის არასწორი აღრიცხვა მოჰყვეს.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ დაუწყიათ მომკილი პურის ლეწვა. სალეწი მანქანების მოლოდინში დრო გადის, რის გამო ალაგ-ალაგ ძნა ჩახურებულია, ხოლო მარცვალს ზადი აქვს შეპარული. ასე, მაგალითად, შალაურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მკა 5 ივლისიდან დაიწყეს, ლეწვას კი დღემდე არ შესდგომიან. ძნის ძირები, რომლებიც ამ კოლმეურნეობა აქა-იქ დადგმული აქვს, ავდრების შემდეგ არ გაუშრიათ. კოლმეურნეობები ლეწვაზე ბევრს არ იყენებენ და მთელ იმედებს ამყარებენ სალეწ მანქანაზე, რომელსაც არც თვითონ იციან როდის მიიღებენ. ამის, გამო მკისა და ლეწვის ვადები ერთმანეთს ძალიან შორდება, რაც უარყოფითად მოქმედებს მარცვლის ხარისხზე და დანაკარგებს ადიდებს.

კოლმეურნეობა „სოციალიზმის გზაში" სალეწი მანქანა ნორმალურად მუშაობს, მაგრამ მუშა-ხელის რაოდენობა, რომელიც მომსახურებას უწევს ამ მანქანას, გაცილებით იმაზე მეტია, რაც სინამდვილეშია საჭირო. ეს ფაქტი შრომის არასწორი ორგანიზაციას მოწმობს. თუ ამას კოლმეურნეთა სამუშაოზე გაუსვლელობას და სამუშაო დღის გაცდენას მივუმატებთ (22 ივლისს სამუშაოზე არ გამოვიდა 10 კაცი), გასაგები გახდება, თუ როდის უნდა დაამთავროს ამ კოლმეურნეობამ 110 ჰექტარი პურის მომკა და გალეწვა.

სალეწი მანქანები სრული დატვირთვით არ მუშაობენ. 13 სალეწი დღე-ღამეში 20 საათის ნაცვლად მხოლოდ დღის სინათლეზე მუშაობს. ამის მიზეზია ფარნების უქონლობა, მანქანების დაზიანება და სხვ. მაგალითად, 22 ივლისს კოლმეურნეობა „შრომიდან" შალაურის პირველ კოლმეურნეობაში გადასვლისას სალეწ მანქანას ხის პატარა ნაწილი გაუტყდა, რის გამო მთელი დღე იდგა.

ყველა კოლმეურნეობას არა აქვს პურის შესაფერისი საწყობები. ზოგი კოლმეურნეობა უხეიროდ აშენებს საწყობს. პურის საწყობი მშრალ ალაგას უნდა აშენდეს, ნათელი და მზიანი უნდა იყოს, რომ მარცვალი გამოშრეს და არ დანესტიანდეს. სოფ. კონდოლის კოლმეურნეობას კი სწორედ ისეთი საწყობი აუშენებია, რომ ეს პირობები სრულებით არ გაუთვალისწინებია. ალაზნის მარჯვენა მხრის ჭალებშიაც დგას ასეთი საწყობი, რომელშიაც ჩაყრილია გამოუშრობელი პური.

ცუდად არის სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების საქმეც. ზემოთ აღნიშნულ კოლმეურნეობებს დღემდე სახელმწიფოსათვის არცერთი ფუთი პური არ ჩაუბარებიათ.

ქ. მაჭარაშვილი.

ასეთი მუშაობით ნამატს შეინარჩუნებთ?

შირაქის საბჭოთა მეურნეობამ ნამატის გაზრდის პირველი კვარტალის გეგმა წარმატებით შეასრულა, მაგრამ მეორე კვარტალში მუშაობა შეასუსტეს. ფერმის გამგე გოგოსაშვილი და ზოოტექნიკოსი ტრაპაიძე გამუდმებით კინკლაობენ, საქმეზე კი არ ზრუნავენ. ფერმაში ცუდათ არის დაყენებული აღრიცხვა. ზოოტექნიკოსის ცნობით, ფერმაში 23 ხბო მოკვდა, ფერმის გამგის ცნობით კი 27. აქ წელს მოგებული 90 ხბოდან მხოლოდ 64 შეინარჩუნეს. ერთი ხბო ისე დაიკარგა, რომ არც ცოცხლებშია აღრიცხული და არც მკვდრებში.

ასეთი მუშაობით ნამატს ვერ შეინარჩუნებთ.

ისარი.

◇

ვაზი უყურადღებოთ

კოლმეურნეთა წერილი.

სოფ. ოყურეშის (ცაგერის რაიონი) კოლმეურნეობამ შარშან 12.000 ძირი ვაზი დაამზადა, რაზედაც 707 შრომადღე დაიხარჯა. ვაზი სანერგეში მოათავსეს. უნდა ამოეღოთ მიმდინარე წლის მაისში, მაგრამ ამ საკითხის მოწესრიგებაზე თავს არავინ იწუხებს. ვაზის სანერგეში სამუშაოდ მიმაგრებულია თადეოზ უგრეხელიძე, რომელიც ცუდად მუშაობს. სანერგი შეუღობავია, ვაზი საჭიროებს გასხვლას და წვიმის ღვარისაგან ზიანდება.

ვენახის სანერგე ჩვენს კოლმეურნეობას 8.000 მანეთი უღირს და მისი ასე უყურადღებოდ მიტოვება შეუწყნარებელია.

პ. მუჯკუდიანი, რ. ყურაშვილი,
დ. მინდიაშვილი.

◇

ნამატს ვერ ინარჩუნებენ

ბაღდათის რაიონში ნამატს წესიერად ვერ ინარჩუნებენ. მასობრივმა აღრიცხვამ, რომელიც აქ ივნისის პირველ რიცხვებში ჩატარდა, ამ მხრივ მთელი რიგი ნაკლოვანებები გამოააშკარავა. მაგალითად, რაიონში წელს მოგებულ 9.850 გოჭიდან მხოლოდ 6.585 შეინარჩუნეს. მეცხენეობაში ნამატის შენარჩუნება 87 პროცენტს უდრის. მეცხვარეობასა და მეთხეობაში — 87,5 პროცენტს.

რაიონში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ზოოვეტერინარული მომსახურება. იყო ასეთი შემთხვევა: სოფ. როხის ორ კოლმეურნეობას მოუკვდა რამდენიმე სული მუშა-პირუტყვი. საჭირო იყო ვეტექიმის მიერ სიკვდილის მიზეზის გამორკვევა. ეს ოთხჯერ აცნობეს რაიმიწგანს, მაგრამ ვეტექიმი მანამდე არ ჩამოვიდა, სანამ ლეში არ გაიხრწნა. ზოგიერთ სოფელში ადგილი აქვს მოზარდი პირუტყვის მასობრივად დაკვლას. ადგილობრივი ორგანიზაციები ნაკლებ მასობრივ მუშაობას ეწევიან ამის აღმოსაფხვრელად.

ვრ. ორმოცაძე.

სამეურნეო მუშაკთა ცოლები ნადეჟდა მგალობლიშვილი, ზინაიდა მიქელაძე და ნინო ქაჯაია, რომლებიც აქტიურად გამოეხმაურენ ინჟინერ-ტექნიკოსთა ცოლების საკავშირო თათბირის მოწოდებას

სამეურნეო მუშაკთა ცოლების ინიციატივა

საქართველოს მიწსახკომის მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ტრესტების სამეურნეო მუშაკთა ცოლები აქტიურად გამოეხმაურნენ ინჟინერ-ტექნიკოსთა ცოლების საკავშირო თათბირის მიმართვას. დიასახლის ქალთა ბრიგადამ, რომელშიც შედიოდნენ ზინაიდა მიქელაძე, ნადეჟდა მგალობლიშვილი და ნინო ქაჯაია, ალაზნისა და შირაქის საბჭოთა მეურნეობებში მეტად ნაყოფიერი მუშაობა გასწია.

ბრიგადამ ალაზანში მოიწვია ქალთა მასობრივი კრება, რომელსაც 300 დიასახლისი ქალი დაესწრო, დაამუშავა ინჟინერ-ტექნიკოსთა საკავშირო თათბირის შედეგები, შეისწავლა კულტურულ - საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობა და პრაქტიკულად დაეხმარა ადგილობრივ ორგანიზაციებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. მაგალითად, მეხუთე ხუტორის სასადილოში უსუფთაობა იყო, იქაურ მომუშავეებს არ ჰქონდათ სპეცხალათები, სასადილოს საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებოდა თეფშები და ჭურჭლის შესამშრალებელი ტილოები, სადილობის დროს იმართებოდა დიდი რიგი, რაც იწვევდა დროის უნაყოფოდ დაკარგვას. ბრიგადამ ეს საკითხი დააყენა დირექტორის წინაშე და წინადადება შეიტანა სასადილოში გახსნილიყო მეორე სალარო. ეს უწესრიგობა მეორე დღესვე გამოსწორდა. ახლად გახსნილ სალაროში დიასახლისმა ქალებმა სადილობის დროს მორიგეობა დააწესეს. ამ ბრიგადის ინიციატივით ალაზანში მოეწყო საბავშვო მოედანი 20 ბავშვისათვის.

ქალთა ბრიგადამ სერიოზული მუშაობა ჩაატარა აგრეთვე შირაქის საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადის ინიციატივით შირაქში შენდება სამშობიარო სახლი, პირველი ხუტორისა და წითელწყაროს მეღორეობის ფერმასთან გაიხსნა საბავშვო ბაგები 67 ბავშვისათვის. მოეწყო ქალთა და მოზარდთა მასობრივი შაბათობა პურის მავნებლების მოსასპობად. ბრიგადას გადაწყვეტილი აქვს უშუალო მონაწილეობა მიიღოს მეურნეობის ტერიტორიის გამწვანებაში და დიასახლის ქალთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმგვარად გაშალოს, რომ ისინი თავიანთ ქმრებთან ერთად დაინტერესებული იყვნენ მეურნეობის ყოველდღიური საზოგადოებრივი საქმიანობით. იმით, რომ სახელოსნოებსა, მანქანა-იარაღების საწყობებსა და მუშათა ბინებში იყოს სისუფთავე, კარგად მუშაობდნენ კლუბი, სამკითხველო, საბავშვო დაწესებულებები, ფიზკულტურის მოედნები...

მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ტრესტების სამეურნეო მუშაკთა ცოლების ეს ინიციატივა უსათუოდ დასაფასებელია და მას სხვებმაც უნდა მიბაძონ.

კურორტი შუაგორა

სურების ბახმაროს ხაზზე აკრავს ჯერ კიდევ 1905 წლიდან კურორტად მიჩნეული სამთო-კლიმატური სადგური შუაგორა. შუაგორა ცოტა უფრო მაღალია ბახმაროზე. კარგ დარში აქედან თქვენს თვალწინ სარკესავით იშლება წარმტაცი სანახაობა, დაწყებული შავი ზღვიდან კავკასიონის მთებამდე.

კურორტს აქვს საუკეთესო სამკურნალო წყლები, თბილი წყლის სამი აბანო: „კიკვაძეების", თელასათიბისა და ხინისწყლისა, რომლითაც დიდძალი ხალხი მკურნალობს ხალხის გამოცდილებით. კიკვაძეების აბანო ძლიერ უხდება კანის სხვადასხვა დაავადებას და ქალურ სნეულებებს. თელასათიბის აბანო რევმატიზმს, მის ახლოს მდებარე მჟავე წყალი კუჭ-ნაწლავის დაავადებას, ხინისწყლის აბანო ღრძილების დაავადებას და ნერვულ ნიადაგზე გამოწვეულ თავისტკივილს. არის აგრეთვე სხვადასხვა გამოურკვეველი აბანო, როგორიცაა გრიგოლისწყლის აბანო და სხვა.

კიკვაძეების აბანოს ახლოს არის ნეგომრისა და სახოვას ტყის სხვადასხვა შეუსწავლელი წიაღისეული. წითელ გორაზე არის წითელი საღებავის ზოლი; საღებავი ზეთოვანია და არ იკარებს წყალს. ამის გამო მისი გამოყენება შეიძლება გემების, ნავებისა და სხვ. მანქანებისათვის.

კურორტზე მოაგარაკეთა და მწყემსთა საექიმო მომსახურების მიზნით მოწყობილია სეზონური ამბულატორია პატარა აფთიაქით. 1934 წელს კურორტზე მოვიდა 3.045 მოაგარაკე, ხოლო 1935 წ. მოაგარაკეთა რიცხვი 5 ათასამდის ავიდა. ექიმების დასკვნით კურორტზე მოსულს მოსვლის მეორე დღიდანვე ემატება მადა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ბავშვებზე. ეს ადგილი იშვიათ ეფექტს იძლევა და დიდად სასარგებლო და გამაჯანსაღებელია. განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლევა ტუბერკულიოზურ (ჯირკვლების, ფილტვების, სახსრების, ძვლების) დაავადების შემთხვევებში.

მალარიით დაავადებულნი, რომელთათვისაც ქინაქინას და სხვა წამლობას ვერ უშველნია, აქ განსაცვიფრებლად გამოჯანსაღდნენ. ასევე კარგად იკურნებიან სისხლნაკლებობით, ნერვული სისუსტით (ნევრასტენიით) შეპყრობილნი. ზემოაღნიშნულის მიხედვით, შუაგორა უნდა ჩაითვალოს მშრომელთა გამაჯანსაღებელ კერად. მაგრამ შუაგორაში ჯერჯერობით ბინების ნაკლებობაა. შარშან დამსვენებლებით სახლები ძალიან იყო გადატვირთული, უბინაობის გამო მრავალი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

წელს ჩოხატაურის რაიონულ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს კოლმეურნეთა და სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციის მონაწილეობით შეუდგეს კურორტის კეთილმოწყობას. არის სურების ხაზით სამი სოფლსაბჭოს დადგენილება კურორტის კეთილმოწყობაში და საგზაო მშენებლობაში მონაწილეობის მიღების შესახებ; წელს ააგებენ სახალხო სახლსა და ამბულატორიას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შუაგორამ სახე იცვალა, წინსვლა დაეტყო, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრის გაკეთებაა საჭირო.

თ. ბერიძე.

ფოტო—სახკინმრეწვისა.

ტფილისის ტრამვაის სტახანოველი ამხ. ჩლაიძე, ნორმას ასრულებს 300 პროცენტით. მიღებულია კომკავშირში

ექ. ნ. კერკენჯია

საქ. ჯანსახკომის სასოფლო მედიცინის ხელმძღვანელი

საავადმყოფოთა შეჯიბრება

1935 წელს ჯანსახკომმა გამოაცხადა შეჯიბრება საუკეთესო საავადმყოფოზე. შეჯიბრებაში 120 საავადმყოფოდან უმრავლესობა ჩაება. მათ შორის საუკეთესო მუშაობა გასწია ტფილისის მეორე საავადმყოფომ (ყოფ. ალექსანდროვისამ), ფოთის, ქუთაისის სამეანო-გინეკოლოგიურმა, გორისამ, სიღნაღისამ, ტფილისის პირველმა საავადმყოფომ, სურამისამ, სამტრედიისამ, ტფილისის კანისა და ვენერიულმა საავადმყოფოებმა. ქალაქის მეორე საავადმყოფომ შეჯიბრების შედეგად მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. სანიმუშოდაა დაყენებული მისაღებ ავადმყოფთა სანიტარული დამუშავება, ავადმყოფების მოვლა, განყოფილებათა გამგე - პროფესორებისა და მკურნალი-ექიმების მიერ ავადმყოფთა ყოველდღიური დათვალიერება. დიდი ყურადღებითა და ოსტატობით იყენებენ რენტგენოსკოპიას და რენტგენოგრაფიას, ფიზიოთერაპიულ პროცედურებს. სტაციონალური ავადმყოფების მკურნალობისათვის შემოღებულია ენტერო-კოლიტის ანტიპირინით, მიკროოყნებით მკურნალობა. მკურნალობა ნოვოკაინით, — ნოვოკაინის ბლოკადითა და მინერალური წყლებით. შემოღებულია ავადმყოფთა ხუთჯერადი კვება. თვითეული სადილის კალორაჟი 3 ათასს უდრის. ყველა პალატაში მოწყობილია სიგნალიზაცია, რადიო ყოველ საწოლთან. მოსაცდელ ოთახებსა და საავადმყოფოს დერეფანში რბილი დგამი და პალმებია, მოწყობილია ცნობათა ბიურო, რომლის საშუალებითაც გაიგებთ თვითეული ავადმყოფის მდგომარეობას. სანიტ-ჰიგიენური პირობები, როგორც საავადმყოფოში, ისე სამზარეულოში და სხვაგან მაქსიმალურად არის დაცული, თვით საავადმყოფოს მუშაკების შრომაც სათანადოთაა განაწილებული. აღნიშნულ საავადმყოფოში ბევრი რამ ახალი არის გაკეთებული. ყველა ეს პროფესორების ალადაშვილის, მაჭავარიანის, ექ. მდივნისა და საავადმყოფოს მუშაკთა კოლექტივის ენერგიული მუშაობის შედეგია.

ქალაქ ფოთის საავადმყოფოს მუშაკებმაც გარდაქმნეს მუშაობა და დროულად ჩაებნენ კონკურსში, ჩაატარეს საავადმყოფოს კაპიტალური შეკეთება, თვითეულ საწოლთან მოეწყო რადიო, აამუშავეს ბიოლოგიური ფილტრი, რომლის საშუალებითაც საავადმყოფოდან გასული ჭუჭყი იწმინდება, დროულად მოიმარაგეს სათბობი მასალა, შეიძინეს ტრანსპორტი როგორც თანამშრომლების გადასაყვანად, ისე საავადმყოფოს საჭიროებისათვის. საავადმყოფოს ეზოში გაშენდა ციტრუსოვანი კულტურები. ავადმყოფის კვების კალორაჟი სამი ათასამდე აიყვანეს. სანიმუშოა ავადმყოფთა სანიტარული დამუშავება, სისუფთავე, ავადმყოფთა მოვლა და წესრიგი. შეკეთდა სადეზინფექციო კამერა, შეიძინეს საჭირო ავეჯი, მოეწყო საავადმყოფოში აფთიაქი. ავადმყოფთა და თანამშრომელთა შორის გაწეულია დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა (ლექცია-საუბრები მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ და სხვ.) საავადმყოფოს თანამშრომლები ჩაბმული არიან სოცშეჯიბრებაში. აღსანიშნავია ექიმი ბუხბინდერის, ჯანდიერისა და ქობულიას ენერგიული მუშაობა, რომლებიც საავადმყოფოს სხვა მუშაკებთან ერთად ყოველდღიურად ცდილობენ წინ წასწიონ მშრომელთა ჯანდაცვის საქმე.

ქალაქის საავადმყოფოებს შორის დიდი მიღწევა აქვს ქუთაისის სამეანო-გინეკოლოგიურ საავადმყოფოს. ავადმყოფების მოვლა და თვით საავადმყოფოში სანიტ-ჰიგიენური პირობები შესანიშნავად არის დაცული. სათანადოდ არის განაწილებული შრომა და უფლება - მოვალეობანი თანამშრომლებს შორის, გაშლილია სოცშეჯიბრება, მოეწყო კურსები მოწყალე დების გადამზადებისთვის, მოხდა საავადმყოფოს კაპიტალური რემონტი, საავადმყოფოს გამწვანება. კარგია მედპერსონალის მიერ ავადმყოფთა საექიმო მომსახურება.

საქართველოს რაიონულ საავადმყოფოთა შორის ყველაზე უკეთესი მუშაობა გორის საავადმყოფოს მუშაკებმა გასწიეს. საავადმყოფოს კაპიტალური რემონტი გაუკეთეს. სანიმუშოდაა მოწყობილი საავადმყოფოს ფასადი, შესავალი, უკანა მხარე და პალატები. შესავალი და დერეფნები გამწვანებულია პალმებითა და ყვავილებით, პალატები სუფთადაა დალაგებული. ავადმყოფებს საწოლთან აქვთ რადიო და გაზეთი, ავადმყოფთათვის სხვადასხვა გაზეთია გამოწერილი. იმართება ექიმთა საუბრები ავადმყოფთა შორის.

მომვლელები ყოველ ორ დღეში იცვლიან ხალათებს. საავადმყოფო დღეში სამ - ოთხჯერ სუფთავდება. ავადმყოფების მოვლა და მკურნალობა ჩინებულად არის დაყენებული. სანიმუშოა საავადმყოფოს ბაღი, რომელიც სილამაზეს ჰმატებს საავადმყოფოს კარმიდამოს, საავადმყოფო უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით, პროდუქტებითა და ტრანსპორტით, კვება გაუმჯობესებულია და აღწევს 3,200 კალორიას. გორის მედმუშაკები თავდადებულად იბრძოდნენ პირველობისათვის.

მიღწევები აქვს აგრეთვე სიღნაღის რაიონის საავადმყოფოს. სანიმუშოდაა დაყენებული ავადმყოფთა მიღება, მათი სანიტდამუშავება, კულტურულ - მასობრივი მუშაობა და სხვა. იმათ ჩაატარეს მთელი რიგი ლექცია - საუბრები ავადმყოფთა შორის, შეკეთდა და ჩინებულად მოეწყო ავადმყოფთა პალატები, მოეწყო ყველა ავადმყოფისათვის რადიო, გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები ავადმყოფთათვის; პალატები და დერეფნები გამწვანებულია, ავადმყოფთა კვებაც საგრძნობლად გაუმჯობესდა. მიწოდებული პროდუქტების კალორაჟი სამი ათასს აღწევს. მოწყობილია საგარეუბნო მეურნეობა, მეფრინველეობის ფერმა, ბოსტანი და სხ. თანამშრომელთა შორის გაშლილია სოცშეჯიბრი.

ასეთივე დიდი მიღწევები აქვს სურამის ფსიქო - ნევროლოგიურ საავადმყოფოს. მათ კაპიტალურად შეაკეთეს საავადმყოფო, მოაწყეს მეძროხეობისა და მეღორეობის ფერმები.

სამტრედიის რაიონული საავადმყოფოს მუშაკებმა საავადმყოფო, რომელიც 30 საწოლიან პატარა სტაციონარს წარმოადგენდა, კონკურსთან დაკავშირებით გადაახალისეს, გარდაქმნეს და ახლა პატარა საავადმყოფოთა შორის უთუოდ სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს.

დიდი მიღწევები აქვთ ტფილისის კანისა და ვენერიულ სნეულებათა ინსტიტუტსა და სტომატოლოგიურ ინსტიტუტს. ასეთ დიდ მიღწევებთან ერთად ნაკლოვანებანიც გვქონდა. ზოგიერთი საავადმყოფო არ ჩაბმულა დროულად კონკურსში, მიუხედავად ჯანსახკომის მითითებისა და განმარტებისა. გამგეები კონკურსში ჩაუბმელობას ასე ხსნიდნენ: „მაინც ვერ გავიმარჯვებთო", ამბობდნენ ისინი (მაგალითად, ზუგდიდი, ჯუღელ ყვარელი, ვანისა და ბორჯომის საავადმყოფოები). კონკურსში არ ჩაბმულან აგრეთვე ბათომისა და სოხუმის მთავარი საავადმყოფოები.

უნდა გვახსოვდეს, რომ კონკურსში ჩაბმას დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების აწევისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და მშრომელი მოსახლეობის მედმომსახურების უკეთესად დაყენებისათვის, საერთოდ საავადმყოფოს წინ წაწევისა და კეთილმოწყობისათვის.

ყველა საავადმყოფოს ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს, რომ 1936 წელს საუკეთესო საავადმყოფოთა რესპუბლიკურ კონკურსში დროულად ჩაებას და საბრძოლო ამოცანად დაისახოს კონკურსში პირველობის მოპოვება. ორდენოსან საქართველოს საუკეთესო, სანიმუშო საავადმყოფოები! აი ეს არის ახლა კონკურსის ძირითადი ლოზუნგი. მხოლოდ მაშინ შეგვეძლება საკ. კ. პ. (ბ) ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტის 9 მაისის დადგენილების შესრულება.

ხელისმომწერლები გაზეთებს დროზე ვერ იღებენ

(წერილების მიმოხილვა)

მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის ყოველდღიურად ზრდის საფუძველზე უდიდესად გაიზარდა კულტურული მოთხოვნილებაც. წინათ ბნელი, ჩამორჩენილი და წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი სოციალიზმის დროს კულტურის ახალ-ახალ წყაროებს ეწაფება. გაზეთი, ისე, როგორც საჭმელი და სასმელი, ყოველდღიური მოთხოვნილების საგნად იქცა, მშრომელნი იწერენ და კითხულობენ ჟურნალ - გაზეთებს, რომლითაც პარტია ყოველ წუთს ელაპარაკება მასებს, რათა არ ჩამორჩნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას.

ვის შეუძლია უგულებელჰყოს მშრომელთა მზარდი კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ვის შეუძლია შეაფერხოს მშრომელთა მზარდი პოლიტიკური აქტივობა ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში? ეს, თითქოს, ცხადია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებში უმსგავსოდაა დაყენებული ხელისმომწერთათვის ჟურნალ-გაზეთების მიწოდების საქმე: ფოსტისა და საგაზეთო ბიუროების მუშაკთა დიდმა ნაწილმა ვერ შეიგნო ხელისმომწერთათვის გაზეთების დროზე და უკლებლივ ჩაბარების პოლიტიკური მნიშვნელობა. ზოგ რაიონში ამ მხრივ პირდაპირ აღმაშფოთებელი მდგომარეობაა. მაგალითად, ცხაკაიას რაიონის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მუშა - მოსამსახურეები გვწერენ, რომ ივნისში მათ არ მიუღიათ გაზეთ „კომუნისტის" 20 ნომერი, როდესაც გაზეთი 30 ივნისსაც არ მიიღეს, მათ მიზეზის გასაგებად საგაზეთო ბიუროს მიჰმართეს. იმის მაგიერ, რომ ხელისმომწერთათვის გაზეთი მიეცათ, ასეთი პასუხი გასცეს:

„30 ივნისს გაზეთი „კომუნისტი" არ გამოსულაო".

ხელისმომწერთათვის გაზეთების დარიგების აღმაშფოთებელ ფაქტებს ვხვდებით სხვა რაიონებშიც, რედაქციაში ამაზე არა ერთი და ორი კორესპონდენცია შემოდის; ხარაგოულის რაიონიდან კორესპონდენტები შ. გუგუშვილი და შ. შარიქაძე, იწერებიან, რომ ფოსტამ სვირის საბჭოთა მეურნეობას მარტო ერთ თვეში 60 გაზეთი დააკლო. ტრაქტორისტები სინჯიკაშვილი და ივანიშვილი (ტფილისის რაიონი) აცხადებენ: „ჩვენი ბრიგადები გაზეთს— 15 დღეში ერთხელ თუ იღებენო".

საქ. ა. ლ. კ. კ. ტფილისის რაიკომის ინსტრუქტორი გვწერს: „პიონერ მოდებაძეს კომკავშირში მიღების დროს რაიკომის ბიუროს სხდომაზე შევეკითხეთ:

— გაზეთს კითხულობ თუ არა?

მან გვიპასუხა:

— ჩვენ ახალსოფლის პიონერებს, გაზეთი გამოწერილი გვაქვს, მაგრამ ფოსტამ აპრილის და მაისის თვეებში გაზეთი სულ არ მოგვიტანაო.

სტალინის სახელობის დივიზიის წითელარმიელი სერგო ხვამლელი გვწერს: „2 ივლისის გაზ. „კომუნისტი" დივიზიას და მებრძოლებს არ მიუღიათ". ეს მით უფრო საწყენია, რომ ამ ნომერში გამოქვეყნებული იყო მთავრობის დადგენილება ახალი სესხის გამოშვების შესახებ. რატომ უნდა დაგვაკლონ გაზეთი? ფოსტის გამგე ამბობს: „არ ვიცი, ვინ არის დამნაშავეო". მაშ ვინ უნდა იცოდეს? განა ის არ უნდა იყოს ამაზე პასუხისმგებელი?"

აბაშის რაიონიდან სოფლკორი ს. ქუნთელია გვწერს: „ჩვენს რაიონში ხშირია გაზეთების არანორმალური დარიგების შემთხვევები; მაგალითად, 2, 3 და 4 ივნისის გაზეთი „კომუნისტი" 6 ივნისს მივიღეთ; 5 ივნისის ნომერი კი 7 ივნისს. ნუთუ ბოლო არ უნდა მოეღოს ასეთ უთავბოლობას ჩვენი რაიონის ფოსტის მუშაობაში?"

ასეთ და ამის მსგავს ფაქტებზე ლაპარაკობენ რედაქციაში შემოსული მუშკორთა და სოფლკორთა წერილები სიღნაღის, კასპის, მარტვილის და სხვა რაიონებიდან.

აღნიშნული რაიონების ფოსტის აპარატში ასეთ უპასუხისმგებლობას, შრომის დისციპლინის დარღვევას და გაზეთის ხელისმომწერთა აბუჩად აგდებას ბოლო უნდა მოეღოს; ხოლო მათ, ვინც გაზეთებს ითვისებს ან სხვა დანიშნულებისათვის იყენებს (შეიძლება ჰყიდის კიდეც), სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოთ.

ყურადღება სტახანოველთა ბინებს

სტალინის სახელობის ორთქლმავლების შემკეთებელმა ქარხანამ ააშენა მუშათა საცხოვრებელი ახალი შენობები, სადაც უნდა ჩაესახლებინათ უცოლშვილო მუშები, მაგრამ ქარხნის დირექტორის თოფურიძის განკარგულებით აქ ცოლშვილიანი მუშები ჩაასახლეს. ისინი ძალიან ვიწროდ ცხოვრობენ. ასეთ მდგომარეობაში არიან სტახანოველი მუშები: ვ. ნატროშვილი, კარეჭაშვილი, მამალაძე, გამაგვაშვილი, ქაჯაია და სხვები.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტალინის სახ. ორთქლმავლების შემკეთებელი ქარხნის მუშათა საერთო საცხოვრებლები უხეიროდაა დახურული, წვიმა ჩამოდის და სტახანოველ მუშებს ილ. ხაჯალიას, კატალევს, ქებაძეს, ჯანიზაშვილს (II და III კორპუსები) იქ ცხოვრება უჭირთ.

ეზოში უსუფთაობაა, სარდაფებში წყალი ჩადის.

სტახანოველების ასე მომსახურება ბინის მხრივ შეუწყნარებელია. მოვითხოვთ მდგომარეობის გამოსწორებას.

დ. გვათუა, ა. წველიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

„განსახკომების სისტემაში პედოლოგიურ დამახინჯებათა შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წ. 4 ივლისის დადგენილების რეალიზაციის მიზნით ვბრძანებ:

1. გაუქმდეს როგორც საბჭოთა სკოლისათვის ზიანის მიმტანი დადგენილებანი, განკარგულებანი, ინსტრუქციები და წერილები განსახკომისა ე. წ. პედოლოგიისა და სკოლებში პედოლოგიური მუშაობის შესახებ.

2. გაუქმდეს პედაგოგიკისა და პედოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პედოლოგიური განყოფილება და პედოლოგიის ასპირანტურა.

პედაგოგიკისა და პედოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გადაკეთდეს პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტად.

3. გაუქმდეს ქუთაისის პედაგოგიურ და დაუსწრებელ პედაგოგიურ ინსტიტუტებში პედოლოგიური განყოფილებები, პედოლოგიის კათედრები და სხვა დამხმარე დაწესებულებანი (კაბინეტები ლაბორატორიები) პედოლოგიის დარგში.

4. გაუქმდეს ტფილისის, ბათომის და სოხუმის განათლების განყოფილებებთან არსებული პედოლოგიური ლაბორატორიები; ლიკვიდირებულ იქნას რაიონულ ცენტრებში, პედტექნიკუმებში და სკოლამდელ დაწესებულებებთან არსებული პედოლოგიური კაბინეტები.

5. ამ დადგენილების თანახმად ლიკვიდირებული პედოლოგიური ლაბორატორიებისა და კაბინეტების მთელი მოწყობილობა და შენობები გადაეცეს პედაგოგიურ ინსტიტუტებს მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობის გასაძლიერებლად.

6. გაუქმდეს „პედოლოგის" თანამდებობა სკოლებში, საბავშვო ბაღებში, სპეციალურ სკოლებში და საბავშვო სახლებში.

7. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი პედოლოგიური განყოფილების მუშაკები, რომლებიც მოისურვებენ, გამოყენებულ იქნან სკოლებში პედაგოგებად.

დაევალოს უმაღლესი სკოლების სამმართველოს უფროსს ამხ. დოლიძეს და პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ამხ. გვაზავას ხუთი დღის განმავლობაში განაწილონ პედოლოგიური დარგის ასპირანტები სამუშაოზე მათი კვალიფიკაციის მიხედვით.

8. დაევალოს უმაღლეს სკოლების სამმართველოს უფროსს ამხ. დოლიძეს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორთან ერთად დაამუშაოს და ა.-წ. 25 ივლისამდე წარმოადგინოს დასამტკიცებლად პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ახალი სტრუქტურა.

9. დაევალოს უმაღლეს სკოლების სამმართველოს ერთი დეკადის ვადაში გადასინჯოს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამუშაო გეგმა და მიიღოს საჭირო ღონისძიებანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გასაძლიერებლად პედაგოგიკის დარგში. გადამუშავებული გეგმა წარმოადგინოს ა.-წ. 10 აგვისტომდე.

10. წინადადება მიეცეს უმაღლესი სკოლების სამმართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებთან ერთად განაწილონ ლიკვიდირებული პედოლოგიური განყოფილებების სტუდენტები სხვა ფაკულტეტებზე.

11. წინადადება მიეცეთ ავტონომიურ რესპუბლიკათა განსახკომებს და საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებს ლიკვიდირებულ პედაგოგიურ დაწესებულებათა მუშაკები გამოიყენონ პრაქტიკულ პედაგოგიურ სამუშაოზე.

12. განსახკომის სისტემაში შემავალ უმაღლეს სასწავლებლებს და პედაგოგიური ტექნიკუმების სასწავლო გეგმებიდან ამოღებულ იქნას საგანი „პედოლოგია" და განთავისუფლებული საათები გამოყენებულ იქნას პედაგოგიკის კურსისა და პედაგოგიური პრაქტიკის გასაძლიერებლად.

13. წინადადება მიეცეთ უმაღლესი სკოლებისა და დაწყებითი სკოლების სამმართველოებს 15 დღის ვადაში გადასინჯონ პედაგოგიურ ინსტიტუტებში და პედტექნიკუმებში პედაგოგიკის სწავლების პროგრამები იმ მიზნით, რომ აღკვეთილ იქნან ამ პროგრამებიდან ე. წ. პედოლოგიური ცრუმეცნიერული საკითხები და გაძლიერებული იქნას პედაგოგიური მეცნიერების შესწავლა.

პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ახალი პროგრამები უმაღლეს სკოლებისა და პედტექნიკუმებისათვის დასამტკიცებლად წარმოადგინონ ა. წ. 20 აგვისტომდე.

14. გაძლიერდეს პედაგოგიკის ხვედრითი წონა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში და მეტი ყურადღება მიექცეს პედაგოგიკის სწავლებას.

15. შეიქმნას კომისია შემადგენლობით: ამხ. ამხ. პ. ოფხაძე, კ. ქაცარავა, კ. ბერიძე, გ. გოგუაძე და დ. გვაზავა, რომელსაც დაევალოს ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა სკოლების ქსელისა და მოსწავლეთა კონტინგენტის გადასინჯვა იმ მიზნით, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა გადაყვანილ იქნას ნორმალურ სკოლებში.

16. აღიკვეთოს, როგორც მავნე, ცრუმეცნიერული და ანტიმარქსისტული აზრების გამავრცელებელი შემდეგი სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა პედოლოგიაში: 1. პროფ. დ. უზნაძე „პედოლოგია", 2. გ. დევდარიანი „პედოლოგია", 3. გ. თევზარაშვილი „საბჭოთა პედოლოგიის ისტორიისათვის", 4. ვ. ფრანგიშვილი „პედოლოგიის საკითხისათვის" და 5. ვ. კაპანაძე „პედოლოგიის შესავალი".

17. წინადადება მიეცეს საბიბლიოთეკო სამმართველოს უფროსს ამხ. ხუხუას გასწმინდოს ბიბლიოთეკები პედოლოგიური ლიტერატურიდან.

18. დაევალოს ამხ. ოფხაძეს უმაღლესი სკოლების სამმართველოსთან და პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან ერთად ერთი დეკადის ვადაში დაამუშაოს პედაგოგიკის კლასიკოსთა და თანამედროვე გამოჩენილ პედაგოგთა ნაშრომების ქართულ ენაზე გამოცემის გეგმა.

19. დაწყ. და საშ. სკოლების სამმართველოებმა უზრუნველჰყონ მასწავლებელთა საშემოდგომო კურს-კონფერენციებზე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 4 ივლისის დადგენილების ღრმა შესწავლა. ახალი სასწავლო წლის დაწყებისას — პირველიდან 10 სექტემბრამდე, შესწავლილი იქნას ეს დადგენილება ყოველ სკოლაში და დაყვანილ იქნას ის ყოველ მასწავლებლამდე. ჩატარდეს მასწავლებელთა აქტივის კრებები ტფილისში, ქუთაისში, ბათომში და სოხუმში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 4 ივლისის დადგენილების დასამუშავებლად.

20. დაევალოს უმაღლესი სკოლების სამმართველოს ახალი სასწავლო წლის დამდეგს მოიწვიოს უმაღლესი სკოლების დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების თათბირი, პედაგოგიური მეცნიერების კონკრეტული საკითხების და პედაგოგიური ინსტიტუტების მუშაობის გარდაქმნის კონკრეტულ ღონისძიებათა დამუშავების მიზნით.

თათბირზე მოწვეულ იქნან აგრეთვე პედაგოგიური მეცნიერების დარგში მომუშავე მეცნიერი მუშაკები.

21. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ყველა პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტში ახალი სასწავლო წლიდან შეიქმნას პედაგოგიკის კათედრა, რომელშიც გაერთიანდეს პედაგოგიკის, ისტორიის და ფსიქოლოგიის სწავლება.

22. წინადადება მიეცეს გაზ. „კომუნისტურ განათლების" და ჟურნალის „კომუნისტური აღზრდისათვის" რედაქტორებს უზრუნველჰყონ ყველა „პედოლოგიურ" გამოცემათა მკაცრი და გაშლილი კრიტიკა.

განათლების სახალხო კომისარი:
მ. ტოროშელიძე.
1936 წელი, 20 ივლისი.

◇ ◇ ◇

ასე ვაჭრობა არ შეიძლება

(ბათომი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ბათომში პურით მოვაჭრე და პურისმცხობელი ორგანიზაციების შემოწმების შედეგად აღმაშფოთებელი მდგომარეობა აღმოჩნდა: ხშირია მომხმარებლების წონაში მოტყუება, ბევრ მაღაზიას და გამყიდველს არა აქვს სანიტარული წიგნაკი, არ არის საჩივრის წიგნები, ზოგიერთი გამყიდველი სამუშაოზე წვერმოუპარსავი მოდის, მუშაობენ ჭუჭყიანი ხალათებით, ზოგან კი საკმაო რაოდენობით ხალათებიც არ მოეპოვებათ. სავაჭროები სრულებით არ არის უზრუნველყოფილი პურის სავალდებულო ასორტიმენტით, ცუდია გამოცხობილი პურის ხარისხი; პურში ხშირად ურევია ქვიშები, ნახშირისა და ხის ნატეხები და სხვ. განაპირა უბნები პურს ხშირად დაგვიანებით ღებულობენ; პურის საზიდი მანქანები სათანადოდ არ არის წესრიგში მოყვანილი; პური მანქანაზე დადგმულ უშნო და ულამაზო ყუთებში აწყვია, ხოლო ყუთებს პურის დამტარებლები ზედ ასხდებიან.

ხშირად მომხმარებლებს წონა-ზომაშიც ატყუებენ; — „აჭარკვებვაჭრობის" № 32 მაღაზიის გამყიდველი ჯემალ ჩაუშიძე ყოველ კილოგრამ პურზე მომხმარებლებს 30 გრამს აკლებდა. № 12 მაღაზიაში გამყიდველმა ს. ჯოჯუამ მომხმარებელ ჯიშკარიანს 50 გრამი პური და 4 კაპ. ხურდა დააკლო. № 37 სავაჭროში გამყიდველმა ა. სტეპანიამ ბავშვს ა. იაკიმიდის დააკლო 55 გრამი პური და 4 კაპ. № 13 სავაჭროში გამყიდველი მ. პავრიანიდი მომხმარებელს კილოგრამ პურზე სისტემატურად 70-80 გრამს აკლებს. მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, აღნიშნული გამყიდველები არ იშლიან მომხმარებელთა მოტყუებას წონაში და ხურდის მიცემაში.

რამდენიმე დღეა, რაც პურტრესტმა კომინტერნის ქუჩაზე გახსნა პურის და საკონდიტრო ნაწარმის სანიმუშო მაღაზია. აქ მოსული მომხმარებელი ვერ შოულობენ არა მარტო ტკბილეულ ნამცხვარს, არამედ სხვადასხვა ხარისხის პურსაც კი. ასევე სისტემატურად არა აქვთ სხვადასხვა ხარისხის პური № 1, № 2, №3, № 21 და № 22 სავაჭროებს. აქ მოსული მომხმარებელი იძულებულია იყიდოს ის, რაც სავაჭროში აქვთ. ეს იგივეა, რასაც მომხმარებელთათვის იძულებითი ასორტიმენტის საქონლის მიყიდვა ეწოდება.

ზოგი გამყიდველი და სავაჭროს გამგე ვერ იცნობენ პურის ასორტიმენტს, რაც ხელს უშლის მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, „აჭარკვებვაჭრობის" პურის სავაჭრო განყოფილების გამგე ყ. ქერქაძე არ ზრუნავს კადრების შერჩევაზე და ტექნიკური სწავლების გამოყენებაზე პურის გამყიდველთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ბათომის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პურის ცხობასა და ვაჭრობაში აღნიშნული დეფექტების აღმოფხვრას და ნამდვილი კულტურული საბჭოთა ვაჭრობის გაშლას.

ასე ვაჭრობა შეუძლებელია, პურით ვაჭრობის საქმე ეხლავე უნდა გაუმჯობესდეს.

ჯ. შამილაძე.

საბჭოთა სუბტროპიკები, მზიანი აჭარა სამართლიანად ითვლება შავი ზღვის სანაპიროების ულამაზეს ადგილად. აჭარის კურორტები და ტურისტული ბაზები სავსეა დამსვენებლებით. სურათზე: მარცხნივ—ხედი ზღვაზე ბათომის სანაპირო ქუჩიდან, მარჯვნივ—ზღვის ნაპირი ქობულეთში.

კრებული

შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლის თავისათვის

მოსკოვის სალიტერატურო გამომცემლობა საიუბილეო დღეებისათვის უშვებს შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ განსაკუთრებულ კრებულს. კრებულში მონაწილეობას მიიღებენ როგორც რუსი, ისე ქართველი ავტორები.

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოში ამ საკითხზე შესდგა სპეციალური თათბირი. თათბირმა მთელი რიგი მოხსენებების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება კრებულისათვის მასალის შეგროვების შესახებ. გადაწყვეტილია კრებულში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიონ მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ი. ლუპოლი, პროფ. ბოლოტნიკოვი, აკადემიკოსი ი. ორბელი, ქართველ ავტორებიდან — პროფ. ი. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე და სხვანი.

კრებული გამოვა 33 ფორმის მოცულობით (500 გვერდამდე) შემდეგი განყოფილებებით: „რუსთაველი და ჩვენ", „რუსთაველის მეცნიერული ბიოგრაფია", „რუსთაველი ფოლკლორში", „რუსთაველის შემოქმედება" და სხვა.

რუსი ავტორების მასალების რედაქცია დავალებული აქვს ამხ. ს. ჭავთარაძეს, ქართველი ავტორების კი—პროფ. ა. დუდუჩავას და შ. ნუცუბიძეს.

○

თუ რამდენად დიდი ინტერესი შოთა რუსთაველის უკვდავი ნაწარმოებისადმი რუს მკითხველთა მასებში, იქიდან ჩანს, რომ მოსკოვის სალიტერატურო გამომცემლობის მიერ 15 ათას ცალად გამოცემული „ვეფხვის ტყაოსნის" რუსული თარგმანი (ბალმონტის) უკვე მთლიანად გაიყიდა.

ახლო მომავალში გამომცემლობა გამოუშვებს პოემის ახალ მხატვრულ გამოცემას 35 ათასი ცალის რაოდენობით და მასობრივ გამოცემას 100 ათას ცალად.

განზრახულია აგრეთვე ტირაჟით გამოიცეს გიორგი ცაგარლის თარგმანიც.

◇

ავიამოდელების შეჯიბრება

30 ივლისს კრასნოდარში იწყება ავიამოდელების სრულიად საკავშირო შეჯიბრება. საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ოთხი საუკეთესო ავიამოდელისტი, რომლებიც შეარჩიეს ტფილისში ავიამოდელისტთა საქალაქო შეჯიბრებაზე. მათ შორის არის ვლადიმერ ბადაშვილი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ტფილისის შეჯიბრებაში. მისმა თვითმფრინავის მოდელმა 1 წუთსა და 32 წამში გაიარა 149 მეტრი და 20 სანტიმეტრი.

კრასნოდარში მიემგზავრება აგრეთვე ტფილისის საბავშვო ტექნიკური სადგურის ინსტრუქტორ - ავიამოდელისტი კლოიცეკი. ტფილისის შეჯიბრებაში მან ამიერკავკასიის ახალი რეკორდი დაამყარა. მისმა პლანერის მოდელმა 3 წუთში გაიარა 785 მეტრი.

მათთან ერთად ტფილისიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ავიამოდელისტები დოსტიანი და კავსაძე. უკანასკნელი პიონერია. მისმა თვითმფრინავის მოდელმა 18,5 წამში 122 მეტრი გაიარა.

„ანტინიკოტინი"

ქიმიკოსმა კუჭაიძემ, რომელიც რამდენიმე წელიწადია მუშაობს თამბაქოდან ნიკოტინის გამოცვლის წესის აღმოსაჩენად, გამოიგონა სპეციალური საშუალება, რომელსაც ავტორმა ანტინიკოტინი უწოდა.

კუჭაიძემ დაამზადა განსაკუთრებული შემადგენლობის ქიმიური ხსნარი. ამ ხსნარში ამოვლებული ბამბა, როგორც ეს ლაბორატორიულმა ცდებმა დაადასტურა, თამბაქოში სპობს ნიკოტინს 28-დან 50 პროცენტამდე. ზოგ შემთხვევაში თამბაქომ ცდების დროს ნიკოტინი 60 პროცენტით დაჰკარგა. დღემდე ცნობილ ანტინიკოტინურ საშუალებებში კუჭაიძის ანტინიკოტინი აღიარებულია ყველაზე რადიკალურ საშუალებად.

სპეციალისტების თათბირმა, რომელიც ამ გამოგონების შესამოწმებლად იყო მოწვეული, საჭიროდ სცნო კუჭაიძის საშუალება მასობრივად იქნას გამოყენებული თამბაქოს მრეწველობაში. ეს მით უმეტეს მიზანშეწონილი იქნება, რომ თამბაქოს ბოლი ანტინიკოტინური ბამბის გავლის შემდეგ არ ჰკარგავს გემოს, იგი სასიამოვნო სურნელებას იძენს და ორგანიზმისათვის უვნებელი ხდება.

◇

ახალი ნედლეული

გამაგრილებელი სასმელების დასამზადებლად.

ხილოვნური მინერალური და ხილეულის წყლის დასამზადებლად დღემდე ჩვეულებრივად ხმარობდნენ სხვადასხვა ხილს, რომლის წვენსაც წყალთან და ნახშირმჟავასთან ამზადებდნენ. ქიმიკოსებმა გამოიკვლიეს და აღმოაჩინეს, რომ ასევე წარმატებით შეიძლება გამაგრილებელი სასმელების დამზადება ტყის, ანუ ველურად გაზრდილი ხილისაგან (ბალამწარა მაყვალი, პანტა და სხვ.).

ტფილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ გადაწყვიტა ერთერთ სალიმონათო ქარხანასთან მოაწყოს ცალკე საამქრო, რომელიც უმთავრესად ველურად გაზრდილი ხეხილის ნაყოფს გამოიყენებს. სათანადო ცდების მოხდენა და ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება დავალებული აქვს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ლაბორატორიას.

◇

ლექციები კოლმეურნეობებში

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა და განათლების სახალხო კომისარიატის მასობრივი კულტურის განყოფილებამ კახეთის ხორბლეულ რაიონებში მიავლინეს პროფესორი დ. გედევანიშვილი.

პროფ. გედევანიშვილი კოლმეურნეობებში ატარებს საუბრებს და კონსულტაციას მოსავლიანობის გადიდების საკითხზე. მან უკვე წაიკითხა ლექცია-საუბრები ზემო-ქედის კოლმეურნეობაში, წითელ წყაროში, არხილოს-კალოში და სხვ.

დაიხურა ოფორტების გამოფენა

24 ივლისს დაიხურა ცნობილი სომეხი მხატვრის ედგარ შაინის (პარიზი) ოფორტების გამოფენა, რომელიც სომხური კულტურის სახლმა მოაწყო (ოფორტი არის ხეზე ამოჭრილი სურათი, სადაც ნახატი ამომწვარია არაყით).

გამოფენა ინახულა 3000 კაცმა. მან დიდი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით მხატვრების და ლიტერატორების წრეში; მუშათა ორგანიზაციებიც აგრეთვე დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ გამოფენას.

სტუმართა წიგნში ბევრი საინტერესო აზრია გამოთქმული. ასე, მაგალითად, ორდენოსანი მწერალი მ. ჯავახიშვილი სწერს: „შაინს ვიცნობ პარიზიდან. უდიდ დიდი ნიჭის პატრონია, სალი რეალისტია. განსაცვიფრებლად მრავალფეროვანია. მის ნაწარმოებთაგან საუკეთესოა ის, რომლებიც ადვილად შესრულებული გვეჩვენება".

ორდენოსანი მხატვარი მოსე თოიძე სწერს: „დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ ერთერთი გამოჩენილი ოსტატის ნაწარმოებთა გამოფენის ინიციატორები. შაინი საუცხოო ფერწერას იძლევა გრაფიკაში. შესანიშნავად ფლობს ჩრდილ-სინათლეს".

გამოფენას მალე გადაიტანენ ლენინგრადში. მას გაჰყვება ერევნის მუზეუმის დირექტორი ამხ. რუბენ დრამპიანი. 200 ექსპონატიდან 150 ედგარ შაინმა ერევნის მუზეუმს უსახუქრა.

◇

ქრონიკა

ინჟინერთა ბრიგადის ჩამოსვლა. ტფილისში ჩამოვიდა რკინიგზის ინჟინერთა ლენინგრადის ინსტიტუტის ბრიგადა პროფ. კოსტრომინის, დოცენტ კაპლანის და ნიკოლაევსკის, ასპირანტების ტულიაკოვის, რიშკოვსკის და მარტენსის შემადგენლობით. ბრიგადა ელექტროფიცირებულ უბანზე წაიკითხავს ლექცია—მოხსენებებს ტექნიკური ექსპლოატაციის წესების შესახებ.

◇

შემთხვევები

ქურდობა. 16 ივლისს ღამით კამოს ქუჩაზე № 95 სახლის სხვენზე შეიპარნენ ქურდები, ჩამტვრიეს ჭერი და თოკით ჩავიდნენ მოქ. ა. გ. ვანციანის ბინაში. ბინის პატრონი ამ დროს ტფილისში არ იყო. ქურდებმა გაიტაცეს საოჯახო მოწყობილობა, ხოლო უმთავრესად ოქროს და ვერცხლის ნივთები 30.000 მანეთის ღირებულებისა. ქურდების შესაპყრობად მიღებულ იქნა ზომები. 18 ივლისს დილით სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა პლეხანოვის პროსპექტზე დააპატიმრეს გარკვეული პროფესიის არმქონე, უმუშევარი ა. მ. მანდენოვი, ქურდი-რეციდივისტი, რომელიც ბოროტმოქმედთა შორის ცნობილია „ცხვირას" ზედმეტი სახელით. გაჩხრეკის დროს მას ვერაფერი უპოვეს, გარდა პატარა ნატეხი პურისა. სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა შეამჩნიეს, რომ ეს ნატეხი პური რაღაც მძიმე იყო. გამოირკვა, რომ პურის შიგნით იყო ოქროს ძეწკვი. ნიშნებით ეს ნივთი ვანციანის ბინიდან გატაცებულ ნივთებს უახლოვდებოდა. ვანციანმა იცნო თავისი ნივთი. გამოძიებით დადასტურდა, რომ ძვირფასი ნივთები ვანციანის ბინიდან მოუპარავს მანდენოვს მეორე ქურდ-რეციდივისტ მ. ვ. თედეევთან ერთად. თედეევის ბინის გაჩხრეკისას (კროლოვის ქ. № 1) აღმოაჩინეს მოქ. ვანციანის ოქროს და ვერცხლის ნივთების დიდი რაოდენობა. ამას გარდა თედეევს აღმოაჩნდა სხვადასხვა დოკუმენტები გ. რ. ჩხაიძისა და ლ. გ. მეგრელიშვილის სახელზე. გამოძიება გრძელდება.

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—კონსულტაცია პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მორიგ თემებზე საღამოს 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე — „საერთაშორისო საკითხების სკოლების პროგრამასთან დაკავშირების მეთოდის შესახებ"—ქართულ ენაზე საღამოს 8 საათზე.

საკ. ალკკ კაბინეტი — ჯგუფური კონსულტაცია პარტიის ისტორიის ძირითადი ეტაპების და პარტიის ისტორიის ღრმად შემსწავლელი სკოლების პროპაგანდისტებისათვის თემაზე — „ბოლშევიკების პარტია რეაქციის პერიოდში"—რუსულ ენაზე. საღამოს 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ რაიკომში პარტიული დოკუმენტების გამოსაცვლელად.

გრიგოლ ნიკოლოზის-ძე ლომიძე, კონსტანტინე მიხეილის-ძე გოგელია, ივანე დიმიტრის-ძე თიკურაშვილი, ელენე გეურქის-ძე შახბაზიანი, ალექსანდრე ვასილის-ძე ქშენოკრატოვი, იასონ სერგის-ძე ალბოროვი, პროკოფი სტეფანის-ძე პილიუშენკო, ბიქტორ იულის-ძე მახარაძე, ნიკოლოზ რევაზის-ძე სოხაძე, ალექსანდრე ბიჭის-ძე კალანდაძე, მუხამედ შაქირის-ძე იბრაგიმოვი, შალვა ივანეს-ძე აბესალაშვილი გაბო იაგორის-ძე მელიქოვი, კირილე ევტიხის-ძე კისელი, მიხეილ იოსების-ძე ოსიპოვი, თეიმურაზ ლავრენტის-ძე ურუშაძე, გიორგი ზაქარიას-ძე ბაჩაშვილი, ივანე ტრიფონის-ძე ბელიავ[illegible], კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ნადირაშვილი, ალექსანდრე ანანიას-ძე მენშოვი, ვასილ იოსების-ძე ცაგურია, ალექსანდრე საბას-ძე მიხაილოვი, სურენ მუშეღის-ძე მოსესოვი, შაქრო ლევანის-ძე ხელაშვილი, გიორგი ალექსის-ძე მოქაძე, სევერიან გიორგის-ძე ძაგნიძე, ალექსი იოსების-ძე ფეიქრიშვილი, ვარდენ მარტიროსის-ძე მინასიანი, ასატურ პეტრეს-ძე ვართანიანცი, ანაიდა ვასილის-ასული გურგენოვა, საბა ზაალის-ძე ჯიოევი, გრიგოლ დავითის-ძე ილინი, ლიდა ტარასის-ასული კოვზირიძე, მირიან თეიმურაზის-ძე კუტიბიძე, ალექსანდრა პეტრეს ასული ლაფანაშვილი სპირიდონ იაკობის-ძე ნათელაშვილი, ივანე გიორგის-ძე მამიშარაშვილი, ქრისტეფორე სიმონის-ძე ტერიანი, სურენ ოვანესის-ძე ხარაჯიევი, ბაგრატ ავანესის-ძე გასპაროვი, ანა ქრისტეფორეს-ასული ლობჟანიძე, სიკო ილიას-ძე პანკოშვილი, დავით ბეგლარის-ძე ჩიქოვანი, ისაკ მიხეილის-ძე შავშიშვილი, ირაკლი იოსების-ძე კირკაშიძე, სევერიან ალექსანდრეს-ძე ურავა, კარაპეტ სერგის-ძე ოგანეზოვი, სილიბისტრო სამსონის-ძე ზაქრაძე, ლავრენტი ვლადიმერის-ძე სხირტლაძე, ნინო ივანეს-ასული არეშიძე, ივანე კირილეს-ძე კუცია, ვასილ ივანეს-ძე დუდიროვი, გუკას მაკარის-ძე მალიანცი, დავით სალტონის-ძე პატარკაძე, ლოლა ერასტის-ასული მიქაძე, ერასტი ბეგლარის-ძე ხუჩელაშვილი, გიორგი ლევანის-ძე თევდორაშვილი, გრიგოლ არტემის-ძე ოჭოევი, ელენე ივანეს-ასული მიქელაშვილი, კონსტანტინე მაქსიმეს-ძე ლიკლიკაძე, ვასილ გრიგოლის-ძე ოთარაშვილი, ანა ლევანის-ასული ლალანიძე, ბიქენტი ფილიპეს-ძე მესხი, სოლიკო ზაქარიას-ძე პაატაშვილი, ანდრია გალაქტიონის-ძე შელდაძე, გიორგი დიომიდის-ძე მგელაძე, მარიამ ივანეს-ასული ბაქრაძე, პ. სამსონის-ძე ბათ[illegible], შუშანიკ აბრამის-ასული ორუჯიევა, მიხეილ ილიას-ძე ჭეიშვილი, სირანუშ იაკობის ასული მუზურნოვა, ანეტა ზაქარიას-ასული დოისაშვილი, ალექსანდრე კუზმის-ძე გრებენიკოვი, გიორგი ნიკოლოზის-ძე კაჭიბაია, გერმანე გიორგის-ძე კილაძე, ალექსანდრა იოსების-ასული კაკაბაძე, გრიგოლ ოჰანეზის-ძე ოჰანეზოვი, მამანტი დიმიტრის-ძე კიკალიშვილი, შუშანა პროფირეს-ასული ნადირაძე.

○

28 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკში (პლეხანოვის პრ. № 105) მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პლენუმი.

შესვლა მხოლოდ და მხოლოდ რაიკომის მიერ გაცემულ ბარათებით.

საქკინმრეწვის თეატრები		
	ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი მხატვრული ფილმი „ახალი ცხოვრებისაკენ"
	დამკვრელი საზ.-საზამ. 5-30, 7, 8-45, 10-25	ახალი ხმოვანი ამერიკ. ფილმი „ახალი დროება" ჩარლ ჩაპლინის მონაწილეობით და გოდარდის გაფრენა. სეანს. დასაწყ. საზაფ. კ. თ. დამკვრელში—9, 10-40 „ კომკავშირელში—9 30, 11-15
	კომკავშირელი საზ. საზამ 6-20, 8, 9-45, 11-30	
	რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვანი დოკუმენტალ. ფილმი „აბისინია"
	საზაფხ. ეთერი 9 ს. 11 საათ.	ახალი ხმოვ. მხატვრული ფილმი „მონღოლეთის შვილი"
	26 კომუნ. სახ.	საზამთრო—„მექსიკელი დიპლომატები" საზაფხულო—ხმოვანი კომედია „პეპო"
	კომინტერნი საზაფხ.	ხმოვანი მხატვრული ფილმი „უკანასკნელი მილიარდერი"

სახ. მეურნეობის აღრიცხვის ტფილისის ტექნიკუმი

მიღების პირობები 1936-37 სასწავლო წელს.

1. ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის ეკონომისტებს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის დარგში.
2. მიღება ხდება ქართული სექტორის პირველ კურსზე (40 კაცი) და რუსული სექტორის პირველ და მეორე კურსზე (40 და 10 კაცი).
3. მიიღებიან 22 წლამდე ასაკის და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

გამოცდები შემდეგ საგნებში (შვიდწლედის ფარგლებში):
- ა) ქართული ენა და ლიტერატურა,
- ბ) რუსული ენა და ლიტერატურა (რუსული სექტორი),
- გ) ალგებრა,
- დ) გეომეტრია,
- ე) ფიზიკა,
- ვ) საზ. მეცნიერება.

4. ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ.
5. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს:
   - ა) ას/საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა,
   - ბ) მეტრიკული ამონაწერი,
   - გ) ჯანმრთელობის მოწმობა,
   - დ) ორი ფოტოგრაფიული სურათი.
6. ტექნიკუმში ჩარიცხულთა 50%-ს აკადემიური წარჩინების გამორკვევის შემდეგ მიეცემა სტიპენდია თვეში 50-დან 100 მანეთამდე (წარჩინების მიხედვით).
7. სწავლაში დაწინაურებული სტუდენტების ნაწილი (როგორც ქალი, ისე ვაჟი) დაკმაყოფილებული იქნება საერთო საცხოვრებელი ბინით.
8. განცხადების მიღება სწარმოებს 20 ივლისიდან 30 აგვისტომდე. გამოცდები 20 აგვისტოდან 30 აგვისტომდე
9. სწავლა დაიწყება 1-ლ სექტემბერს.
10. განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის კანცელარიაში დირექტორის სახელზე ყოველდღე სად. 7—10 საათამდე (ან გადმოგზავნილი) შემდეგი მისამართით: ტფილისი, მელიქიშვილის ქ. № 2.

460 დირექცია.

თანახმად სარეწაო-კოოპერატიული სამკერვალო არტელების „განახლებისა" და „მკერვალის" წევრთა გაერთიანებული საერთო კრების ა-წ. 8 ივლისის დადგენილებისა და სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის დასტურისა, ზემოხსენებული არტელები გაერთიანებულია ერთი სამკერვალო არტელად სახელწოდებით

„წითელი მკერავი".

რომელიც აწარმოებს, როგორც სტანდარტული, ისე ინდივიდუალური შეკვეთების მიღებას: სამხედრო, სამოქალაქო, გლეხურ ტანსაცმელზე და ქუდებზე. აგრეთვე ღებულობს ყოველგვარ შეკეთება-გადაკეთებას და აწარმოებს უტილის შესყიდვას.

გაერთიანებული გამგეობა მოთავსებულია პლეხანოვის პროსპ. № 55.

გაერთიანებული გამგეობის თავმჯდომარე შ. ბერიძე.

461


იყიდეთ ყველაზე სრულფასოვანი და ეფექტური კომბინირებული საკვები პირუტყვისათვის
რა უნდა იცოდეს კომბინირებულ საკვების მყიდველმა
კომბინ. საკვების ეფექტიანობა
114 კგ
150 კგ
600 გრ
1000 გრ
ჩვეულებრივ საკვების რაციონით
კომბინირებულ საკვებით
წონის ნამატი დღეღამეში

1. თუ გსურს პირუტყვმა მეტი სარგებელი მოგცეს, ჰკვებე მხოლოდ სპეციალური კომბინირებული საკვებით.
2. კომბინირებული საკვები საუკეთესო და ძლიერი საკვებია. მომზადებულია თანახმად რეცეპტისა სხვადასხვა საუკეთესო საკვებისაგან.
3. კომბინირებული საკვები შესდგება შვრიისა, ქერისა, სიმინდისა, ქატოსა, დაჰრილი ბზისა, მუჯკისა, კოპტონისა, საკვებში შესარევი ფქვილისა, ხორცისა და თევზის ფქვილისა, ბადაგისა, მარილისაგან და სხვ.
4. გახსოვდეს, რომ პირუტყვი სხვადასხვანაირია და სხვადასხვანაირი კომბინირებული საკვებით უნდა ჰკვებო.
5. მოითხოვე კომბინირებული საკვები ცალ-ცალკე მეწველი ძროხისათვის, ცხენისათვის, გოჭისათვის; ღორის გასასუქებლად, მწოველი ღორებისათვის.
6. მეწველი ძროხისათვის კომბინირებული საკვების მიცემა ქატოსთან შედარებით 20%-ით ადიდებს წველას.
7. კომბინირებული საკვები ღორის გასასუქებლად უზრუნველჰყოფს დღეღამეში 1000—1200 გრამი წონის მატებას.
8. სხვადასხვა კომბინირებული საკვები ცალ-ცალკე შეინახე, ერთმანეთში ნუ აურევ.
9. კომბინირებული საკვები ცხენს მშრალად მიეცი.
10. კომბინირებული საკვები ღორებს და ძროხებს უშუალოდ ჭმევის წინ დასველებული მიეცი.
11. კომბინირებული საკვები მუშა ცხენებისათვის შვრიას სჯობია.
12. კვების მრეწველობის სახკომისარიატის სახელმწიფო ქარხნებში დამზადებული კომბ. საკვები უზრუნველჰყოფს მაღალ მასაზრდოებლობას.

მოთხოვნებით მიმართეთ:

კომბინირებული საკვების მარაგგასაღების ყველა წვრილ ხაზითუმო და საცალო მაღაზიას ტფილისში, ბაქოში, გროზნოში, ნოვოროსიისკში და აზოვ-შავიზღვის, ჩრდილო-კავკასიისა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებში.

სარეწაო კოოპერატიული სამკერვალო არტელების

„განახლებისა" და „მკერვალის" გაერთიანების გამო გაერთიანებული გამგეობა სამკერვალო არტელი „წითელი მკერავი"-ს სახელწოდებით აუწყებს სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს, რომ ზემოხსენებული არტელების გამგეობების მიერ დღემდე სხვადასხვა პირებზე გაცემული მინდობილებანი და ყოველგვარი დავალებანი გაუქმებულია.

462

გაერთიანებული გამგეობის თავმჯდომარე შ. ბერიძე.

ბაბილინა იაშვილი შვილებით, რძლებით და შვილიშვილებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 ივლისს ს. არგვეთის (ჭიათურის რაიონი) სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი

ჯიბო იაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 15465.

ა.-კ. რკინიგზის სასკოლო განყოფილება ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ტფილისის რკინიგზის მე-5 სკოლის დამსახურებული მასწავლებლის, შრომის გმირის

გიორგი კუპრაშვილის

გარდაცვალების გამო. 15466.

მეუღლე ქეთევან, შვილები: სიმონ, ივანე, გიორგი თავიანთი ცოლშვილით, მარიამ, ფაინა და ნინო აუწყებენ

სამსონ იაკობის-ძე ქამქამიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ღარიხევში. 15462.

დამწუხრებულნი: რძალი მარიამი, შვილები: გიორგი, ნინო და დიმიტრი, რძალი ევა აუწყებენ

მიხეილ გრიგოლის-ძე სესიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 ივლისს 5 საათზე. კალანდაძის ქ. № 1. 15445.

დამწუხრებული დედა ფატი, დები: ეკა, თამარ, ძმები: იპოლიტე, კარლო, ნიკა, სიძე ანდრო, რძლები: ნინო, ჟუჟა, ძმისშვილი ირა აუწყებენ

ოლღა სამსონის-ასული მათითაიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქვიშხეთში დღეს. 15461.

ცოლი თამარ წვერავა შვილით, სიდედრი ვასასი, ცოლისძმები: ნიკო, მიშა და პავლე ჯულელები ოჯახებით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს

ლევან წვერავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 ივლისს ს. ძირულაში. 15460.

ქ. წულუკიძის რაიმოწვინის თანამშრომლები: ჯოხაძე, ბუაძე, შავლაყაძე, ბიჭელაძე, კორთაძე, ჭელიძე, ჯალაღონია, გორდაძე, შველაძე, ჭიკვაიძე, ბაბუაძე მწუხარებას გამოსთქვამენ ზოოტექნიკ დავით კაკაბაძის მამის

გიორგი მაქსიმეს-ძე კაკაბაძის

გარდაცვალების გამო. 15447.

სამუდამოდ გულმოკლული ნატაშა ქმრით ანტონ ქუციკიძით და ელიკო, აკაკი, უშია და ვახტანგი ღრმა მწუხარებით აუწყებენ დაუვიწყარი და ძვირფასი დისა და დეიდის

ეკატერინე უიფშიძის

გარდაცვალებას. 15449.

შვილები: ოლია, ნინა, ნატაშა, სიმონ, ივანე და დარიკო, რძალი ვერა სიძეები: გიორგი ქანტურია, ლეონიდე ნემანი აუწყებენ—ჯულელში 30 ივლისს 4 ს. დანიშნულია

ივანე სიმონის-ძე ბებიაშვილის

პანაშვიდი. 15471.

ხ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული ა—8005